



## წლიური ანგარიში

აღმნიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2016

2  
0  
1  
7



ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2016



## ადამიანის უფლებათა ცენტრი 20 წლისაა

2016 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრს 20 წელი შეუსრულდა. 9 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ადამიანის უფლებათა ცენტრმა 20 წლის იუბილე აღნიშნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, სახელმწიფო უწყებებისა და მედიის წარმომადგენლები. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ორგანიზაციის მიერ განვლილი გზა მიმოიხილეს და საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ მდგომარეობა შეაფასეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი 1996 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, დაარსდა. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი 2012 წლამდე იყო უჩა ნანუაშვილი - ამჟამად საქართველოს სახალხო დამცველი<sup>1</sup>.

თბილისი, 2017

<sup>1</sup> ინფორმაცია იხ.: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19044&lang=geo>

## ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

**ავტორი:** თამარ ავალიანი

**რედაქტორი:** ალექო ცქიტიშვილი

**თარგმანი:** ნინო ტლაშაძე, ნინო ცაგარეიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხელისუფლება კი პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე.

### მისამართი:

0160 თბილისი, მ. ქანთარის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48

ფაქსი: (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: [hridc@hridc.org](mailto:hridc@hridc.org)

ვებ-პორტალი: <http://www.humanrights.ge>; <http://www.hridc.org>.

### ფოტოები ყდაზე:

**ბოშა გოგონა.** ავტორი - თამარ ლუკავა. შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფოტოკონკურსში - „ჩვენი მრავალფეროვანი სამშობლო“ გამარჯვებული ფოტოსურათი.

**შშმ პირი არაადაპტირებულ საარჩევნო უბანზე.** ავტორი - რატი ვარსიმაშვილი.

**ქალთა მოძრაობის საპროტესტო აქცია.** ავტორი - კავშირი „საფარი“.

**მოხის სადავო შენობა.** ავტორი - სამხრეთის კარიბჭე.

**საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე - ზაზა თავაძე.** ავტორი - Ipress.ge



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*

*ანგარიში მოამზადა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.*

# სარჩევი

1. შესავალი	6
2. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები	7
• მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა	8
3. სასამართლოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენები	9
4. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევის პროცესი	11
5. საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენები	12
6. კამპანია „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით 15	
7. საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით	17
8. გენერალური ინსპექციების არაეფექტური მუშაობა	18
9. პოლიციელთა ძალადობა მოქალაქეებზე	18
10. დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმი	20
11. უფლებადამცველთა ცემისა და საქმიანობისათვის ხელშეშლის ფაქტები	20
• ზვიად კუპრაძას ცემის ფაქტი	20
• ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე მიმდინარე სასამართლო პროცესი	21
• ადვოკატთა საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები	21
12. პენიტენციური სისტემა	22
• მსჯავრდებულ დ.გ.-ს საქმე	25
• მსჯავრდებულ ლ.მ.-ს საქმე	25
• მსჯავრდებულ ზ.კ.-ს საქმე	26
• მსჯავრდებულ ლ.შ.-ს საქმე	26
13. ადამიანის უფლებათა ცენტრის საკონსტიტუციო სარჩელი პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო რეფერალთან დაკავშირებით	27
14. რელიგიურ უმცირესობათა უფლებები	28
• იეჰოვას მოწმეთა დევნისა და ქონების განადგურების ფაქტები	28
• მუსლიმი თემის უფლებების დარღვევა	29
• რელიგიური დაპირისპირება ადიგენში	30
• მოხეში მუსლიმებისათვის ლოცვის ხელშეშლა	31
15. ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში	31
16. ლგბტ პირთა უფლებები	33

17. ქალთა მიმართ ძალადობა და ფემიციდი	34
• ქალთა გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკა ყვარლის მუნიციპალიტეტში	36
• არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურების შემთხვევა	37
• ქალზე ძალადობა თეთრიწყაროში	38
• ფემიციდის შემთხვევა	38
18. 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები	39
• დამკვირვებელთა ხელშეშლის ფაქტები	41
• კორცხელის ინციდენტი	42
• პოლიტიკური პარტიები არჩევნების შემდეგ	42
19. კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებები	43
• გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმე	44
20. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება	44
21. ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გამოძიება	46
22. გახმაურებული საქმეები	48
• მაგდა პაპიძის საქმე	48
• დემურ სტურუას საქმე	49
• „კაბელების საქმე“	50
• ფოტორეპორტიორების საქმე	52
23. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმატებული საქმეები	53
• თ.რ.-ს საქმე	53
• ლ.ჭ.-ს საქმე	53
• აზერბაიჯანის მოქალაქეებისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება	54
• იოსებ აბულაძის საქმე	54
• დისკრიმინაცია სს „თელასში“	55
• მსჯავრდებულის დავა შსს-ს წინააღმდეგ	55
24. ადამიანის უფლებათა ცენტრის საკანონმდებლო წინადადებები	56
25. შშმ პირები	57
26. მედიის თავისუფლება	58
• „რუსთავი 2“-ის საქმე	58
• „მაესტროს“ საქმე	60
• საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის არჩევნები	61
• იმედი" „მაესტროსა" და „GDS-ს" გაერთიანება	62
27. საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ	62
28. საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ	63

## 1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოაჩენს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას საქართველოში 2016 წელს.

ანგარიში ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოში მოქმედი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს და შეფასებებს. ანგარიში მოიცავს ძირითად ტენდენციებს ადამიანის უფლებათა ისეთ სფეროებში, როგორც არის: საკანონმდებლო ცვლილებები, პენიტენციური სისტემა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები, პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება და გადაცდომები, მედიის თავისუფლების საკითხები, შშმ პირთა მდგომარეობა, ლგბტ პირთა უფლებები, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის - ოჯახში ძალადობის ფაქტები. ანგარიშში განხილულია ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმატებული საქმეები საანგარიშო წლის განმავლობაში, სტრატეგიული სამართალწარმოებისა და პარლამენტთან ადვოკატირების საკითხები.

2016 წლის განმავლობაში, გაგრძელდა მოწყვლადი ჯგუფების, ქალთა მიმართ ძალადობის, რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ პირების უფლებების შელახვის ფაქტებზე არასათანადო რეაგირების ტენდენცია სახელმწიფო სტრუქტურებისა და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან. დაუსჯელი რჩება ამ ჯგუფების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის სხვადასხვა ფაქტები 2016 წლის განმავლობაში, რითაც სახელმწიფო არღვევს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს უმცირესობათა და ძალადობის მსხვერპლ ქალთა სათანადო დაცვა და უსაფრთხოება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზება დღემდე წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას. არასათანადო და არაეფექტური საკანონმდებლო ბაზა, გარემოში არსებული ბარიერები, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები და განწყობები, განათლებასა და რეაბილიტაციაზე წვდომის დაბალი ხარისხი - აღნიშნული დაბრკოლებები იმ პრობლემათა არასრული ჩამონათვალია, რაც აბრკოლებს შშმ პირების სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში.

2016 წელს გაგრძელდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მედიაზე სავარაუდო ზეწოლის ცალკეული შემთხვევები. სახელმწიფოს წინაშე მდგარ სხვა მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება, პირადი ცხოვრების უფლების დაცვა, წამების მსხვერპლი პატიმრების სამართლებრივი რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია. 2016 წელს



ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დაფიქსირდა პოლიციელთა მიერ მოქალაქეთა სავარაუდო ცემის ფაქტები.

## 2. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

2016 წლის 24 ივნისს, ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, პროკურორის დადგენილება, მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი რომელიმე უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, განიხილება როგორც ახლად გამოვლენილი გარემოება. ეს კი შემდგომში, შესაძლებელია განაჩენის გადასინჯვის საფუძველი გახდეს. პროკურატურას ეძლევა ახალი საპროცესო მექანიზმი, სააპელაციო სასამართლოს მიმართოს და საქმის გადასინჯვა მოითხოვოს<sup>2</sup>.

2016 წლის 24 ივნისს, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეფორმასთან დაკავშირებით პარლამენტმა დაჩქარებული წესით ცვლილებები შეიტანა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ცვლილებების თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომა არის ღია, გარდა კონკრეტული გამონაკლისებისა. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის ფორმა რჩება უცვლელი. ნაფიც მსაჯულებს აღარ მოუწევთ მიღებული ვერდიქტის დასაბუთება სამართლებრივ და შინაარსობრივ კითხვებზე პასუხის გაცემის გზით<sup>3</sup>. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოქნილობას და მსაჯულთა მიერ საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

2016 წლის 20 თებერვალს, ძალაში შევიდა მოწმის დაკითხვის ახალი წესი, რომელიც მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან სავალდებულო დაკითხვას გულისხმობს. მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის შესაძლებლობა მხოლოდ ბრალდების მხარეს აქვს ისე, რომ დაცვის მხარე არ ესწრება ამ პროცესს. დაცვის მხარეს არ აქვს მოწმის სანდოობის შემოწმების შესაძლებლობა. ერთხელ დაკითხული მოწმე შეზღუდულია პირველად მიცემული ჩვენებით, რომლის შეცვლაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს განზრახ ცრუ, ან არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის<sup>4</sup>.

<sup>2</sup> იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>

<sup>3</sup> იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>

<sup>4</sup> იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>

- მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“<sup>5</sup> შეფასებით, მოწმის დაკითხვის მოქმედი წესი ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობისა და უშუალოების პრინციპს და უგულვებელყოფს ნებაყოფლობითი გამოკითხვის როლს სისხლის სამართლის პროცესში. მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის უფლებამოსილების მხოლოდ ბრალდების მხარისთვის მინიჭებით მნიშვნელოვნად ილახება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი<sup>6</sup> არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად, სახელმწიფომ მოწმეთა დაკითხვის წესი ხარვეზებით მაინც დაამტკიცა.

2016 წლის 10 აგვისტოდან, ადამიანის უფლებათა ცენტრმა დაიწყო პროექტი - „მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა საქართველოში“. კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს მოწმის დაკითხვის ახალი წესის გამჭვირვალე და ეფექტურ ფუნქციონირებას. კვლევის საფუძველზე გამოვლინდება მოწმის დაკითხვის ახალი წესის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ადამიანის უფლებათა ცენტრი შეისწავლის: როგორ მოქმედებს ახალი წესი პრაქტიკაში; რამდენად დაცულია მოწმეთა უფლებები მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვისას; რამდენ საქმეზე მიმართა პროკურატურამ მაგისტრატ მოსამართლეს მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით, მათ შორის - რამდენი საქმე იყო არასრულწლოვნისა და რა საფუძველით მოხდა სასამართლოსადმი მიმართვა; რამდენად დასაბუთებულია პროკურატურის შუამდგომლობა და სასამართლოს გადაწყვეტილება; რამდენად დაცულია შეჯიბრებითობის პრინციპი მოწმეთა დაკითხვისას; რამდენად უზრუნველყოფს მოწმის დაკითხვის მოქმედი წესი მოწმეთა უსაფრთხოებას; გაცნობიერებული აქვთ თუ არა მოწმეებს თავიანთი უფლებები და ა.შ.<sup>7</sup>

კვლევის ხელშეწყობისათვის 2016 წლის 3 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა საქართველოს სახალხო დამცველთან<sup>8</sup>, 29 დეკემბერს კი - იურიდიული დახმარების სამსახურთან. ასევე, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს და საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის წარმომადგენლებს, შემდგომი თანამშრომლობის დაგეგმვის მიზნით<sup>9</sup>.

---

<sup>5</sup> კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ აერთიანებს 35-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას. ადამიანის უფლებათა ცენტრი არის კოალიციის მმართველი კომიტეტის წევრი ორგანიზაცია.

<sup>6</sup> იხ: შეფასება: <http://www.coalition.org.ge/ge/article255>

<sup>7</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18857&lang=geo>

<sup>8</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18991&lang=geo>

<sup>9</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19018&lang=geo>



### 3. სასამართლოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლო კორპუსის გაუმჯობესებულ წესებით დაკომპლექტება 2016 წელსაც სისტემურ პრობლემას წარმოადგენდა. მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის პროცესის უსამართლო პროცედურა შესაძლებლობას აძლევს იუსტიციის საბჭოს, სუბიექტური შეხედულებებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დანიშნოს მისთვის სასურველი მოსამართლეები. იუსტიციის საბჭოს მიერ მოსამართლეები ინიშნებიან არა ობიექტურ, განჭვრეტად კრიტერიუმებზე დაყრდნობით, არამედ ძალაუფლების მქონე სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების შესაბამისად.

2016 წლის 16 თებერვალს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა პეტიციით მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და უსამართლო, გაუმჯობესებულ და არაკონსტიტუციური პროცესის გზით სასამართლო კორპუსის დაკომპლექტების დაუყოვნებლივ შეჩერება მოითხოვეს. ასევე, მოუწოდეს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე, დაიწყოს მუშაობა ქვეყანაში მოსამართლის დანიშვნის გამჭვირვალე, სამართლიანი და დასაბუთებული სისტემის შესაქმნელად<sup>10</sup>.

2016 წლის 12 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ საჯაროდ განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა მოსამართლის კონკურსის ცალკეული მონაწილეებისათვის ტესტების შინაარსისა და სწორი პასუხების წინასწარ გამჟღავნებას, რაც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა<sup>11</sup>. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს საქართველოს მთავარ პროკურორს, რომ „დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტების შესაძლო გამჟღავნების ფაქტთან და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით“<sup>12</sup>. გამოძიება პროკურატურაში მიმდინარეობს.

2016 წლის განმავლობაში, სასამართლო სისტემაში არსებული კრიზისი კიდევ უფრო ღრმავდებოდა. 2016 წლის 22 თებერვალს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი თანამდებობიდან გაათავისუფლა<sup>13</sup>. აღნიშნულ განცხადებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრმა დაუჭირა მხარი. მამუკა ახვლედიანის თანამდებობიდან გაათავისუფლებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთმა

---

<sup>10</sup> იხ: პეტიცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18654&lang=geo>

<sup>11</sup> იხ: ინფორმაცია: <http://1tv.ge/ge/news/view/116855.html>

<sup>12</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18679&lang=geo>

<sup>13</sup> იხ: ინფორმაცია: <http://hcoj.gov.ge/ge/pres-relizi/2652>

წევრმა არ დაუჭირა მხარი<sup>14</sup>. ვახტანგ მჭედლიშვილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პრეზიდენტის მიერ არის დანიშნული. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები მამუკა ახვლედიანის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზად მის მიერ მენეჯმენტური შეცდომების დაშვებას უკავშირებდნენ<sup>15</sup>.

საქართველოს სახალხო დამცველმა კანონშესაბამოდ მიიჩნია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მამუკა ახვლედიანის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ ასეთ პრაქტიკას მომავალში ადგილი აღარ ექნებოდა<sup>16</sup>.

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ შეფასებით, საბჭოს გადაწყვეტილება თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ უხეშად არღვევს კანონის მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება თავმჯდომარის გათავისუფლებისთვის კანონით დადგენილ ნათელ და არაორაზროვან პროცედურებს. გადაწყვეტილება მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ ლოგიკას და საბჭოს მხრიდან კანონის თვითნებურ და არასწორ გამოყენებაზე მიუთითებს<sup>17</sup>.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებამ და სამოქალაქო სექტორის აზრის იგნორირებამ არასამთავრობო ორგანიზაციები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მათ აქტივობებს კამპანიის სახეს უნდა მისცემოდა. კოალიცია - „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ წევრმა ორგანიზაციებმა დაიწყეს კამპანია „სამართალი ითხოვს“. კამპანიის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა უსამართლო, გაუმჭვირვალე და არაკონსტიტუციური პროცესის გზით სასამართლო კორპუსის დაკომპლექტების შეჩერება და მოსამართლის დანიშვნის გამჭვირვალე, სამართლიანი და დასაბუთებული სისტემის დაუყოვნებლივ შექმნა, კამპანია ასევე ითხოვდა კრიტიკულად განწყობილი მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური დევნის გამოყენების შესაძლებლობის გაუქმებას, სასამართლო რეფორმის დაჩქარებას და უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე სასამართლოში შემთხვევითობის პრინციპზე დაფუძნებული საქმის განაწილების ელექტრონული სისტემის ამოქმედებას<sup>18</sup>.

---

<sup>14</sup> იხ: ინფორმაცია: <http://liberali.ge/news/view/21003/mchedlishvilma-akhvledianis-gadayenebas-mkhari-ar-dauchira-sabchom-ori-shetsdoma-daushva>

<sup>15</sup> იხ: შეფასება: <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/367423-shotha-getsadze-mamuka-akhvledianis-thanamdebobidan-gathavisufleba-mis-sajaro-ganckhadebebtan-kavshirshi-ar-aris.html?ar=A>

<sup>16</sup> იხ: განცხადება: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelma-justiciis-umagles-sabchos-daskvna-warudgina.page>

<sup>17</sup> იხ: შეფასება: [http://coalition.ge/index.php?article\\_id=74&clang=0](http://coalition.ge/index.php?article_id=74&clang=0)

<sup>18</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18726&lang=geo>

2016 წლის 6 ივლისს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა უარყოფითად შეაფასეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა 65 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი და განაცხადეს, რომ მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის არსებული სისტემის ხარვეზიანობა და სისტემური პრობლემები, რაც ამ მიმართულებით არსებობს როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში<sup>19</sup>.

არასამთავრობო სექტორმა უარყოფითად შეაფასა საქართველოს პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს ვაკანტურ თანამდებობებზე რამდენიმე კანდიდატის წარდგენის პროცესი. მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის მიმართ განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, რაც მოითხოვს აღნიშნული პროცესის ღიად და გამჭვირვალედ, ისევე როგორც განსაკუთრებული სიფრთხილით წარმართვას.<sup>20</sup> არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ ერთ-ერთი კანდიდატის, ნონა თოდუას ჰომოფობიურ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელიც სექსუალური უმცირესობების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებაში გამოიხატებოდა.

#### 4. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევის პროცესი

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევის პროცესი არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის ფონზე წარიმართა. 2016 წლის 29 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთა შერჩევის მიზნით კანდიდატებთან გასაუბრებები გაიმართა. სამთავრობო კომისიამ გასაუბრების შედეგად 12-დან 5 კანდიდატი შეარჩია<sup>21</sup>.

2016 წლის 28 ივლისს, საქართველოს მთავრობამ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც 2016 წლისათვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის პოზიციაზე კანდიდატთა სამპირიან სიაში ნანა მჭედლიძის კანდიდატურის ნაცვლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ ევა გოცირიძის კანდიდატურა შეიყვანა<sup>22</sup>.

<sup>19</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18810&lang=geo>

<sup>20</sup> იხ: განცხადება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18715&lang=geo>

<sup>21</sup> იხ: განცხადება: <http://justice.gov.ge/News/Detail?newsId=5114>

<sup>22</sup> იხ: განცხადება: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5247>

კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ შეფასებით, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა კონკურსში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების პოზიციები, რაც აჩენს განცდას, რომ საჯარო კონკურსის მთლიანი პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებდა და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით მოხდა<sup>23</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევმა კომიტეტმა საქართველოდან გაგზავნილი სამკაციაანი სიიდან<sup>24</sup> მოსამართლის თანამდებობაზე არც ერთი პირი არ დაამტკიცა<sup>25</sup>.

## 5. საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენები

2016 წელი საკონსტიტუციო სასამართლოში დაპირისპირებების ფონზე წარიმართა, რამაც გარკვეული საფრთხე შეუქმნა ქვეყანაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელებას.

2016 წლის 29 თებერვალს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მას ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ გარიგება შესთავაზა - თუ პაპუაშვილი ხელისუფლებასთან ითანამშრომლებდა, სახელმწიფო ვენეციის კომისიის წევრობას გაუგრძელებდა. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესს პოლიტიზირებული უწოდა<sup>26</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა შერჩევის კონკურსში მონაწილეობდა, თუმცა ვერ შეძლო შესაბამისი ქულების დაგროვება და ბარიერის გადალახვა.

2016 წლის თებერვლის ბოლოდან, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და მმართველ გუნდს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც არასამთავრობო სექტორმა კონსტიტუციური მართლმსაჯულებისათვის საფრთხის შემქმნელად მიიჩნია.

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ შეფასებით, „სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობის, უსაფრთხოების და მათ საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიების შექმნას და

---

<sup>23</sup> იხ: შეფასება: [http://coalition.ge/index.php?article\\_id=135&clang=0](http://coalition.ge/index.php?article_id=135&clang=0)

<sup>24</sup> ევა გოცირიძე, გიორგი ბადაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე

<sup>25</sup> იხ: განცხადება: <http://1tv.ge/ge/news/view/136977.html>

<sup>26</sup> იხ: ინფორმაცია: <http://netgazeti.ge/law/98192/>

სასამართლო გადაწყვეტილებების პატივისცემას. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო და მისი ინდივიდუალური წევრები თავს გრძნობდნენ დაცულად მუქარის შემცველი ან/და კანონსაწინააღმდეგო აქტივობებისგან<sup>27</sup>.

2016 წლის მარტში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, “საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანულ კანონსა და “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონში ცვლილებების პროექტი შემუშავდა. კანონპროექტის მიღება ფორსირებულად წარიმართა. კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით 2016 წლის 27 აპრილს მიიღო, მეორე მოსმენით 13 მაისს, ხოლო მესამე მოსმენით 14 მაისს, შაბათ დღეს, რიგგარეშე სხდომაზე.

ვენეციის კომისიას დასკვნის მოსამზადებლად კანონპროექტი მხოლოდ მესამე მოსმენით მიღების შემდეგ გადაეგზავნა. კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღებას ვენეციის კომისიის კრიტიკა მოჰყვა. კომისიამ წუხილი გამოთქვა ნაჩქარევად ცვლილებების მიღების გამო, განსაკუთრებით კი იმ გარემოების გამო, რომ ცვლილებების პაკეტის გაგზავნა ვენეციის კომისიისათვის არ მოხდა მის მიღებამდე<sup>28</sup>.

სამოქალაქო სექტორის ყველაზე დიდი კრიტიკას შემდეგი საკითხები იწვევდა: პლენუმის მიერ გადაწყვეტილების სრული შემადგენლობის ორი მესამედით მიღება, გაუმართლებლად მაღალი კვორუმი და სხვა<sup>29</sup>.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიჩნიეს, რომ „საკანონმდებლო ცვლილებები მიმართული იყო არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი შემადგენლობის ან/და კონკრეტული მოსამართლეების წინააღმდეგ, არამედ მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზებისა და მისი უმნიშვნელოვანესი როლის დაკნინებისკენ, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიული სახელმწიფოსთვის აუცილებელ ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორცაა: კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა, ხელისუფლების დანაწილება და კონსტიტუციური მართლმსაჯულების ჯეროვნად, ეფექტურად და მიუკერძოებლად განხორციელება“<sup>30</sup>.

---

<sup>27</sup> იხ: განცხადება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18678&lang=geo>

<sup>28</sup> იხ: ვენეციის კომისიის დასკვნა: [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2016\)017-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2016)017-e)

<sup>29</sup> იხ: შეფასება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18704&lang=geo>

<sup>30</sup> იხ: ინფორმაცია: <http://rustavi2.com/ka/news/46723>

საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებად მიიჩნიეს<sup>31</sup>.

2016 წლის 31 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის ცვლილებებს ვეტო დაადო და მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს უკან დაუბრუნა<sup>32</sup>.

2016 წლის 3 ივნისს, პარლამენტმა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები სრულად გაიზიარა და კანონი პრომულგაციისთვის კვლავ პრეზიდენტს გადაუგზავნა. პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს.

2016 წლის 13 ივნისს, კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა<sup>33</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოში ე.წ. გახმაურებულ საქმეების (რუსთავი 2-ისა და „კაბელების“ საქმეები), განხილვის დაწყებამ საკონსტიტუციო სასამართლოზე პოლიტიკური ზეწოლები გაამძაფრა და სასამართლოს შიგნით დაპირისპირება გამოიწვია.

გახმაურებულ საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ნაწილი სხდომებს არ ესწრებოდა. ამიტომ, სასამართლოს რამდენჯერმე მოუწია საქმეთა განხილვის გადადება კვორუმის არარსებობის გამო.

2016 წლის 1 სექტემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოში ე.წ. უგულავა-კაბელების საქმის განხილვა გადაიდო კვორუმის არარსებობის გამო.

2016 წლის სექტემბრის ბოლოს, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ გაკეთდა განცხადება რუსთავი 2-სა და ე.წ. „კაბელების“ საკონსტიტუციო სარჩელების შეცვლასთან დაკავშირებით და გავრცელდა მოთხოვნა გამოძიების დაწყების შესახებ<sup>34</sup>. გამოძიება დღემდე მიმდინარეობს.

---

<sup>31</sup> იხ: განცხადება: <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/373448-saparlamanto-opoziciis-azrith-kanonshi-dagegmili-cvlibebemi-miznad-sakonstitucio-sasamarthlos-dasjas-isakhavs.html?ar=A>

<sup>32</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/382441-giorgi-margvelashvili-vetoshi-veneciis-komisiis-rekomendaciebi-sityvasityvithaa-gathvalistsinebuli.html?ar=A>

<sup>33</sup> იხ: ინფორმაცია: [http://coalition.ge/index.php?article\\_id=81&clang=0](http://coalition.ge/index.php?article_id=81&clang=0)

<sup>34</sup> იხ: <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/391430-eka-beselia-thu-dadasturda-rom-sakonstitucio-sarchelebis-shecvla-khdeboda-nacionaluri-modzraobis-gegmis-gansakhorcieleblad-damnashavem-pasukhi-unda-agos.html?ar=A>



2016 წლის 30 სექტემბერს, საკონსტიტუციო სასამართლის 4 მოსამართლეს უფლებამოსილება ამოეწურა და მათი ახალი წევრებით ჩანაცვლება მოხდა<sup>35</sup>.

2016 წლის 20 ოქტომბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ ახალ თავმჯდომარედ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა თავაძე აირჩია<sup>36</sup>.

## 6. კამპანია „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“<sup>37</sup> უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით

2016 წლის განმავლობაში არაერთხელ დაფიქსირდა უკანონო მოსმენებისა და პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტები, რაც კამპანია „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. კამპანიის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ დაგმეს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გავრცელების ფაქტები და ამ კადრებით არა მხოლოდ კონკრეტული პირების, არამედ მთელი საზოგადოების დაშანტაჟების მიზანმიმართული მოქმედებები. კამპანიის „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ წევრებმა არაერთხელ მოუწოდეს სახელმწიფოს, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები უკანონო ფარული თვალთვალისა და მიყურადების წინააღმდეგ საბრძოლველად<sup>38</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის შეფასებით, იმ პირობებში, როდესაც საგამომიებო მოქმედებების არანაირი კონტროლი არ არსებობს და ფარული თვალთვალისა და მიყურადების მთელი ბერკეტი ძალოვანი უწყებების ხელშია, კვლავ რჩება საფრთხე, რომ რომელიმე ძალოვანი მაღალჩინოსანი ბოროტად გამოიყენებს თავის უფლებამოსილებას - ერთი მხრივ, პირადი ცხოვრების ამსახველ ფარულ თვალთვალსა და მიყურადებას განახორციელებს კანონდარღვევით, მეორე მხრივ კი, ამ უკანონო ჩანაწერებს შეინახავს სხვადასხვა პირთა დაშანტაჟების მიზნით<sup>39</sup>.

2016 წლის 19 მარტს, კამპანიის - „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“ ფარგლებში, აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელებას აპროტესტებდნენ<sup>40</sup>.

<sup>35</sup> იხ: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18882&lang=geo>

<sup>36</sup> იხ: ინფორმაცია: <http://1tv.ge/ge/news/view/138993.html>

<sup>37</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი არის კამპანიის წევრი. კამპანიის წევრები აპროტესტებენ უკანონო მოსმენებს და პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტებს.

<sup>38</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18772&lang=geo>

<sup>39</sup> იხ: შეფასება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18707&lang=geo>

<sup>40</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18696&lang=geo>

2016 წლის 28 მარტიდან, საქართველოს სახალხო დამცველმა დაიწყო პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია „წამმზომი ჩართულია“. საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის და ლეგიტიმური აუცილებლობის გათვალისწინებით სახალხო დამცველმა დაიწყო დღის, საათის და წუთის ათვლა დანაშაულის ჩადენიდან - 2016 წლის 11 მარტიდან<sup>41</sup>, დამნაშავე პირების გამოვლენამდე<sup>42</sup>.

2016 წლის 15 სექტემბერს, კამპანია „ეს შენ გეხება“ გამოეხმაურა სხვადასხვა მედია საშუალებითა და სოციალური ქსელით გავრცელებულ ფარული სატელეფონო საუბრის ჩანაწერს, „რუსთავი 2-ის“ გენერალურ დირექტორსა და ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს შორის და სახელმწიფოს მოუწოდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები უკანონო ფარული თვალთვალისა და მიყურადების წინააღმდეგ საბრძოლველად<sup>43</sup>. ამ ფაქტს ადამიანის უფლებათა ცენტრი ცალკეც გამოეხმაურა. ორგანიზაცია შემამოფოთებლად მიიჩნევს მითითებული სატელეფონო ჩანაწერის გავრცელების ფაქტს და ხელისუფლებას და უფლებამოსილ უწყებებს მოუწოდებს, გადაიდგას კონკრეტული, ეფექტური ნაბიჯები უკანონო ფარული მოსმენების წინააღმდეგ საბრძოლველად<sup>44</sup>.

2016 წლის 27 სექტემბერს, კამპანიამ „ეს შენ გეხება“ დაგმო ინტერნეტსივრცეში, სავარაუდოდ, საქართველოს ექს-პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების საუბრის ჩანაწერის გავრცელება და განაცხადა, რომ უკანონო ფარული თვალთვალი/მიყურადება და მისი შედეგების გავრცელება სისტემურ ხასიათს იღებს<sup>45</sup>.

საქართველოს სახალხო დამცველი არაერთხელ გამოეხმაურა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას და საგამოძიებო ორგანოებს დანაშაულის დროული და ეფექტური გამოძიებისკენ მოუწოდა.<sup>46</sup>

---

<sup>41</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=PWC5NGmcirs>

<sup>42</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-piradi-cxovrebis-amsaxveli-kadrebis-gavrcelebis-winaagmdeg-kampanias-iwyebs.page>

<sup>43</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18883&lang=geo>

<sup>44</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18884&lang=geo>

<sup>45</sup> იხ: განცხადება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18898&lang=geo>

<sup>46</sup> იხ: განცხადება: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-piradi-cxovrebis-amsaxveli-kadrebis-gavrcelebas-exmaureba.page>

## 7. საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით

2016 წლის 14 აპრილს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის და საქართველოს მოქალაქეების გიორგი ბურჯანაძის, ლიკა საჯაიას, გიორგი გოცირიძის, თათია ქინქლაძის, გიორგი ჩიტაძის, ლაშა ტულუშის, ზვიად ქორიძის, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად ცნო პირადი ხასიათის ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და შენახვის წესები.

საკონსტიტუციო სარჩელებით სადავოდ იყო გამხდარი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოს (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს) ანიჭებდა უფლებამოსილებას, ჰქონდოდა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების და ამ მიზნით სათანადო აპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსების შესაძლებლობა. ამავე დროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით, განეხორციელებინა კავშირგაბმულობის არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი 2 წლის ვადით შენახვა<sup>47</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები, მართალია, ემსახურება ლეგიტიმურ მიზნებს, მაგრამ არ წარმოადგენს ამ მიზნების მიღწევის ნაკლებად მზღუდავ, პროპორციულ საშუალებას. სადავო ნორმები შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მოიპოვოს პირადი ხასიათის ინფორმაცია განუსაზღვრელ პირთა წრის შესახებ<sup>48</sup>.

ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა რა, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულება მოითხოვს, როგორც ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, ისე ახალი კანონმდებლობის შესაბამისად შემოღებული სისტემის ინსტიტუციურ და

<sup>47</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.constcourt.ge/ge/news/sakonstitucio-sasamartlom-arakonstituciurad-cno-piradi-xasiatis-informaciis-realur-droshi-mopovebis-da-maidenticirebeli-monacemebis-kopirebis-da-shenaxvis-wesebi.page>

<sup>48</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18723&lang=geo>

ტექნიკურ უზრუნველყოფას, აუცილებლად მიიჩნია გადაწყვეტილების აღსასრულებლად აუცილებელი და გონივრულად საკმარისი დროის გათვალისწინება. ასეთ ობიექტურად საკმარის ვადად საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 31 მარტამდე პერიოდი მიიჩნია<sup>49</sup>.

## 8. გენერალური ინსპექციების არაეფექტური მუშაობა

2016 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართავდნენ მოქალაქეები, რომლებიც შსს-ს გენერალური ინსპექციის საქმიანობის მიკერძოებასა და არასწორ პრაქტიკაზე საუბრობდნენ. 2016 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს წარმოებაში ჰქონდა საქმეები, რომელთა უმრავლესობაც შსს-ს გენინსპექციის მიერ მათივე თანამშრომლების მიერ ჩადენილ გადაცდომების არაეფექტურ და მიკერძოებულ მოკვლევას ეხებოდა. 2016 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატები ქალთა ძალადობისა და ფემიციდის საქმეებზე პოლიციელთა სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე რეაგირებისათვის შსს-ს გენინსპექციას მიმართავდნენ. შსს-ს გენინსპექცია ან არ იწყებდა მოკვლევას და დისციპლინურ წარმოებას პოლიციელთა მიმართ ან რამდენიმე დღეში ადამიანის უფლებათა ცენტრს პასუხობდა, რომ პოლიციელთა ქმედებებში დისციპლინური გადაცდომის ნიშნები არ იკვეთებოდა (კ.ი საქმე; ლ.ბ საქმე; მ.ბ საქმე)<sup>50</sup>.

## 9. პოლიციელთა ძალადობა მოქალაქეებზე

2016 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა არაერთ მოქალაქეს, რომელიც პოლიციელთა მხრიდან ძალადობის, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი გახდა.

საანგარიშო წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მომართა დაახლოებით 20 მოქალაქემ,

---

<sup>49</sup> იხ: განცხადება: <http://www.constcourt.ge/ge/news/sakonstitucio-sasamartlom-arakonstituciad-cno-piradi-xasiatis-informaciis-realur-droshi-mopovebis-da-maidenticirebeli-monacemebis-kopirebis-da-shenaxvis-wesebi.page>

<sup>50</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1210&lang=geo;> <http://liberali.ge/articles/view/23996/politsiis-gulgriloba-ojakhshi-dzaladobis-faqtebze--ras-hyvebian-iuristebi>

რომელნიც პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ<sup>51</sup>.

2016 წლის 23 იანვარს, პანკისის ხეობის მკვიდრი ასლან წუწაშვილი სასტიკად იქნა ნაცემი ახმეტის პოლიციის მიერ.<sup>52</sup> მოქალაქის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიებას აწარმოებდა კახეთის საოლქო პროკურატურა. გამოძიება პროკურატურაში იყო არაეფექტური, რის გამოც 2016 წლის 7 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, ასლან წუწაშვილმა საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს.

მ.ო-ს და დ.პ-ს ინფორმაციით, 2016 წლის 5 ივნისს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციამ მათ შეურაცხყოფა მიაყენა და არჩადენილი დანაშაულის აღიარების მიზნით მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელა.

2016 წლის 10 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს არასრულწლოვნების მიმართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის და სხვა კანონდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით<sup>53</sup>.

2016 წლის 19 მაისს, სახალხო დამცველმა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარუდგინა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა. უმეტეს შემთხვევებში, განმცხადებელთა ახსნა-განმარტებებში იკვეთება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისთვის პოლიციის თანამშრომელთა წინასწარი, მიზანმიმართული მზადება და მისი განხორციელება, აღიარებითი

---

<sup>51</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18946&lang=geo;>  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18645&lang=geo;>  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19028&lang=geo;>  
[http://imedi.ge/index.php?pg=shs&id\\_pr=9877&id=63&tp=0&l=1](http://imedi.ge/index.php?pg=shs&id_pr=9877&id=63&tp=0&l=1)

<sup>52</sup> იხ: ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18645&lang=geo>

<sup>53</sup> იხ: განცხადება: <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/winadadeba-mtav-ar-prokurors-arasrulwlovanta-mimart-policiis-mxridan-savarau-do-arasatanado-mopyrobastan-dakavshirebit.page>

ჩვენების მიღების მიზნით, რაც წამების დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია<sup>54</sup>.

## 10. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა კვლავ აქტუალური იყო 2016 წელს. არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი ინსტიტუციურად დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე საუბრობდნენ, რომელიც სამართალდამცველთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს<sup>55</sup>. 2016 წელსაც ხელისუფლება უარს ამბობდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნაზე იმ მოტივით, რომ იგი გაუმართლებლად მიიჩნევა პარალელური პროკურატურის შექმნას.

## 11. უფლებადამცველთა ცემისა და საქმიანობისათვის ხელშეშლის ფაქტები

- **ზვიად კუპრავეას ცემის ფაქტი**

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოხატეს „სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელ - ზვიად კუპრავეაზე, მოძრაობა „ეროვნულობის“ ხელმძღვანელ სანდრო ბრეგაძის და მისი თანმხლები პირების მხრიდან განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამო და მოუწოდეს სამართალდამცავ ორგანოებს, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო ზომები, დაიწყონ გამოძიება, რომელსაც წარმართავენ ეფექტურად და გამჭვირვალედ, ხოლო მოძალადე პირები მყისიერად მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში<sup>56</sup>. ორგანიზაციების შეფასებით, თავდასხმის დროს გაკეთებული

---

<sup>54</sup> იხ: ანგარიში: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-shinagan-saqmeta-saministros-daqvemdebarebul-organoebshi-adamianis-uflebata-mdgomareobas-afasebs.page>

<sup>55</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelma-jurnalistebtan-damoukidebeli-sagamodziebo-meqanizmis-sheqmnis-sakitxebze-shexvedra-gamarta.page>; <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelma-parlamentis-wevrebtan-damoukidebeli-sagamodziebo-meqanizmis-sheqmnis-sakitxebze-shexvedra-gamarta.page>; <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18883&lang=geo>; <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18772&lang=geo>

<sup>56</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18840&lang=geo>



განცხადებები სამართლიანად აჩენს საფუძლიან ეჭვს, რომ ფიზიკური ძალადობა მოტივირებული იყო დისკრიმინაციის ნიშნით, რაც ზვიად კუპრავას სამოქალაქო და პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირდება<sup>57</sup>.

- **ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე მიმდინარე სასამართლო პროცესი**

ადვოკატ გიორგი მდინარაძის შს სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილებაში ცემის ფაქტთან დაკავშირებით სასამართლო განხილვები მიმდინარეობს. ჯერ კიდევ 2015 წელს, ადვოკატის ცემის ფაქტზე ბრალი წაეყენა ამავე განყოფილების უფროსს ლაშა კვიციანიას. ვაკე-საბურთალოს პოლიციის მეხუთე განყოფილების ყოფილი უფროსი, ლაშა კვიციანია, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, 2015 წლის ნოემბერში დააკავეს. 2015 წლის 29 დეკემბერს კი სასამართლომ 10000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ პატიმრობიდან გაათავისუფლა.

ადვოკატ გიორგი მდინარაძის სამართლებრივ ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს<sup>58</sup>. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატი და ჟურნალისტი მუდმივად ესწრებიან სასამართლო სხდომებს და აფასებენ პროცესზე მიმდინარე მოვლენებს<sup>59</sup>. ამჟამად, სასამართლო პროცესზე ბრალდების მოწმეები იკითხებიან. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატის შეფასებით, „წარმოდგენილი ბრალდების მოწმეები პოლიციის მოქმედი თანამშრომლები არიან. მათი ჩვენება არ არის სანდო, რადგან ისინი ცდილობენ, დაადასტურონ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებები, როცა მათი უშუალო უფროსი ჯერ კიდევ იყო ბრალდებული ლაშა კვიციანია და მის წინააღმდეგ ჩვენება ვერ მისცეს. მათ რომ ახლა რეალური ჩვენება მისცენ სასამართლოს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ გამოძიების პერიოდში ცრუ ჩვენების მიცემისთვის“<sup>60</sup>.

- **ადვოკატთა საქმიანობის ხელშეშლის ფაქტები**

2016 წლის განმავლობაში, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც #7 პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი იმყოფებოდა თავის დაცვის ქვეშ მყოფ მსჯავრდებულთან და

---

<sup>57</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18840&lang=geo>

<sup>58</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19000&lang=geo>

<sup>59</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19007&lang=geo>; <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18889&lang=geo>

<sup>60</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18889&lang=geo>

დაწესებულებიდან გამოსვლისას მას კონფიდენციალური ჩანაწერების წარმოდგენა მოსთხოვეს. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან ადვოკატებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა პროფესიული საქმიანობის დროს, სისტემურ პრობლემას წარმოადგენს, რადგან პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები ადამიანის უფლებათა ცენტრის ორდერით მომუშავე ადვოკატებს უცხადებდნენ, რომ სხვა ადვოკატები მათ მოთხოვნას ემორჩილებიან<sup>61</sup>. პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პრაქტიკა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლას წარმოადგენს და კონფიდენციალობის პრინციპს არღვევს.

2016 წლის 5 ივლისს, ადვოკატთა ხელშეშლის ფაქტებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრმა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ერთობლივი მიმართვა გაავრცელეს. მათ მოუწოდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, დაინტერესდეს არსებული ვითარებით და გაატაროს ქმედითი ზომები, რათა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეწყდეს ადვოკატთა საქმიანობის ხელშეშლის პრაქტიკა<sup>62</sup>. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადმინისტრაციამ დაწესებულების თანამშრომლებს დისციპლინური სახდელეები შეუფარდა და ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატებს ბოდიში მოუხადა.

## 12. პენიტენციური სისტემა

2016 წელს, ადამიანის უფლებათა ცენტრი ფონდის - „ეროვნული წვლილი დემოკრატიაში“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით, აგრძელებს პროექტს - „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი საქართველოში“. პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატები იურიდიულ დახმარებას უწევენ ბენეფიციარებს ადამიანის უფლებების სხვადასხვა საკითხებზე.

2016 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით 6000 იურიდიული კონსულტაცია გაუწია ბენეფიციარებს. მათ შორის არიან მსჯავრდებულები და ბრალდებულები სხვადასხვა სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან.

2016 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა 550-მდე მსჯავრდებულმა სხვადასხვა პენიტენციური დაწესებულებიდან. 2016 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, ყველაზე მეტი პატიმრის საჩივარი მოდიოდა #3

---

<sup>61</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18802&lang=geo>

<sup>62</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18807&lang=geo>

პენიტენციური დაწესებულებიდან. სულ აღნიშნული დაწესებულებიდან ორგანიზაციას მომართა დაახლოებით 150-მდე მსჯავრდებულმა. 2016 წლის მეორე ნახევარში იმატა პატიმრების მომართვიანობამ #6 პენიტენციური დაწესებულებიდან. აღნიშნული დაწესებულებიდან ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართა დაახლოებით 80-მა პატიმარმა. 2016 წლის განმავლობაში #17 პენიტენციური დაწესებულებიდან ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით მიმართა დაახლოებით 50-მა მსჯავრდებულმა. #18 და #8 პენიტენციური დაწესებულებებიდან ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართა დაახლოებით 200-მდე მსჯავრდებულმა. #7 დაწესებულებიდან ადამიანის უფლებათა ცენტრში საჩივარი შეიტანა დაახლოებით 10-მდე მსჯავრდებულმა. #5 პენიტენციური დაწესებულებიდან ადამიანის უფლებათა ცენტრს დახმარების თხოვნით მიმართა 60-მდე მსჯავრდებულმა.

საჩივართა დიდი უმრავლესობა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის საკითხებს და ციხის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს ეხებოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის სახელზე გაგზავნილ განცხადებებში მსჯავრდებულები დაგვიანებულ მკურნალობებსა და გამოკვლევებზე საუბრობდნენ, რაშიც პენიტენციური დაწესებულების ექიმებს და სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომლებს სდებდნენ ბრალს. მსჯავრდებულები საჩივრებში სამოქალაქო და და ციხის სამკურნალო დაწესებულებებში გეგმიური ოპერაციაზე და გამოკვლევებზე დაგვიანებით გაყვანაზე საუბრობენ. პატიმართა განმარტებით, მათ არ მიეწოდებოდათ შესაბამისი მედიკამენტები, სათანადოდ არ უტარდებოდათ ოპერაციული და პოსტოპერაციული მკურნალობა<sup>63</sup>.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან **შშმ მსჯავრდებულები**. პენიტენციურ დაწესებულებებში მათ მიმართ სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი ადაპტირებული გარემო. დაწესებულებას არ ჰყავს სპეციალური უნარჩვევებით აღჭურვილი თანამშრომელი, რომელიც შშმ პატიმარებს მოუვლის და მათ შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფს. შშმ პატიმრებს კეთილი ნების საფუძველზე სხვა პატიმრები, მათ შორის სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული მსჯავრდებულები უვლიან.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ზოგჯერ დაუსაბუთებლად აფერხებს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატიმართა სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას და არ აწვდის მათ ეტლებს გადასაადგილებლად. არის შემთხვევები, როცა შშმ პატიმრებს არ უტარდებათ სათანადო მკურნალობა და მომსახურება, მათი ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

---

<sup>63</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18653&lang=geo>

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაშია არაერთი საქმე სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფ პატიმართა მიმართ სამედიცინო მომსახურების მიღების გაჭიანურების, არასათანადო მკურნალობის, ზოგიერთ შემთხვევაში - სამედიცინო მომსახურების/საჭიროების მიღებაზე საერთოდ უარის თქმის, ასევე სამედიცინო დაწესებულებაში მათი ტრანსპორტირების შეფერხების შესახებ. ეს პრობლემები განსაკუთრებული სიმწვავეით მკვეთრად გამოხატული შშმ პატიმართა საქმეებში იკვეთება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ როდესაც პენიტენციური სისტემის პირობებში მსჯავრდებულს ვერ მკურნალობენ, რამაც მის სიცოცხლეს შესაძლოა, სერიოზული საფრთხე შეუქმნას, შესაძლებელი უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გათავისუფლება ავადმყოფობის გამო.<sup>64</sup>

წლებია რეაბილიტაციას ელოდებიან წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი პატიმრები, რომელთაც ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით მორალური და მატერიალური კომპენსაციის მისაღებად სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოს მიმართეს.<sup>65</sup>

2016 წლის განმავლობაში, პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის კუთხით აქტიურად მუშაობდა სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2016 წლის 12 ივლისის ანგარიშის თანახმად N6 დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს აშკარა იყო ადმინისტრაციისა და პატიმრებს შორის დამაბული, კონფლიქტური ურთიერთობა. ჯგუფის წევრებთან საუბრისას ადმინისტრაციის წარმომადგენლები პატიმრების მიმართ დამამცირებელ და აგრესიულ დამოკიდებულებას ავლენდნენ. ვიზიტის დროს, დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან პატიმრის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ერთი ფაქტი გახდა ცნობილი<sup>66</sup>.

2016 წლის 8 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის გ.ბ.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო

---

<sup>64</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18653&lang=geo;>  
<http://hrdc.tv/index.php?a=view&id=1153&lang=geo>

<sup>65</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18785&lang=geo;>  
<http://hrdc.tv/index.php?a=view&id=1193&lang=geo;>  
<http://hrdc.tv/index.php?a=view&id=1182&lang=geo;>  
[http://hrdc.tv/index.php?a=view&id=1167&lang=geo](http://hrdc.tv/index.php?a=view&id=1167&lang=geo;)

<sup>66</sup> იხ: ანგარიში: <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-n6-penitenciur-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb.page>

მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. მსჯავრდებულმა გ.ბ.-მ სახალხო დამცველის რწმუნებულებთან განაცხადა, რომ 2016 წლის 3 სექტემბერს, დაწესებულებაში მსჯავრდებულების სატელეფონო საუბრებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ოთახში სატელეფონო საუბრის დასრულების შემდეგ, დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა<sup>67</sup>.

2016 წლის 15 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა პრესკონფერენცია გამართა პატიმრების უფლებების შესახებ. ორგანიზაციამ გააპროტესტა მსჯავრდებულთათვის საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობის შეზღუდვა, რასაც ბოლო პერიოდში ადგილი აქვს პენიტენციურ დაწესებულებებში, რაც ადვოკატთა საქმიანობის ხელშეშლას და მსჯავრდებულთა უფლებების დარღვევას წარმოადგენს<sup>68</sup>.

- **მსჯავრდებულ დ.გ.-ს საქმე**

N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულ დავით გ.-ს დადგენილი აქვს უმძიმესი დაავადებები. შესაბამისი დოკუმენტაცია წარდგენილია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში, მაგრამ არ ხდება N 18 სამკურნალო დაწესებულებაში მისი გადაყვანა. პატიმარს უჭირს გადაადგილება, წონასწორობის დაცვა, აქვს მრავლობითი სახის მწვავე დაავადება, ღვიძლის ცეროზი, B და D ჰეპატიტი, HCV-ინფექცია და სხვა<sup>69</sup>.

- **მსჯავრდებულ ლ.მ.-ს საქმე**

სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N 17 დაწესებულებაში სასჯელს იხდის მსჯავრდებული ლ. მ., რომელიც პენიტენციურ დაწესებულებაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობისას მიყენებული დაზიანებების გამო, წლებია, ეტლს არის მიჯაჭვული და არ შეუძლია გადაადგილება. მსჯავრდებულს ხერხემალზე ესაჭიროება

---

<sup>67</sup> იხ: განცხადება: <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/winadadeba-msdjavrdebulis-mimart-savaraudo-arasatanado-mopyroban-dakavshirebit.page>

<sup>68</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19046&lang=geo> <http://www.maestro.ge/kontakti/siakhleebi/article/44729-vithareba-penitencialur-sistemashi>; <http://www.obieqtivi.net/news.php?id=62650>; <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19047&lang=geo>

<sup>69</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18827&lang=geo>

განმეორებითი მძიმე ოპერაცია, ასევე - სხვა სახის სამედიცინო გამოკვლევები. 8 ივლისს მსჯავრდებულის გეგმიური გაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში უნდა განხორციელებულიყო რეანიმობილით, რომელიც მას არ მიაყენებდა ფიზიკურ ტკივილს. პატიმარი ეტლით მოსარგებლეს და ხერხემლის ტკივილები აწუხებს. N17 პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულის ტრანსპორტირება გადაწყდა შეუსაბამო ტრანსპორტით, რაზეც პატიმარი იძულებული გახდა უარი განეცხადებინა<sup>70</sup>.

- **მსჯავრდებულ ზ.კ.-ს საქმე**

ადამიანის უფლებათა ცენტრი დახმარებას უწევს #18 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულს - ზ.კ.-ს.

2014 წელს ჩაუტარდა ორივე ქვედა კიდურის ნაწილობრივი ამპუტაცია. მას განესაზღვრა შშმ-ს სტატუსი. 2015 წელს გაუკეთდა პროთეზირება და რადგან პროტეზები აღმოჩნდა უხარისხო კიდურებმა ვერ იგუა. განვითარდა განგრენა და მოხდა კიდურების ხელახალი ამპუტაცია. დღემდე მსჯავრდებული იტანჯება კიდურების გაუსაძლისი ტკივილებით, ტკივილგამაყუჩებლები აღარ უხსნის ტკივილებს, ითხოვს ძლიერ გამაყუჩებლებს, რაც ასევე სერიოზულ პრობლემებს უქმნის კუჭზე. სამედიცინო დეპარტამენტის მიერ არ ხდება ტკივილის გამომწვევი მიზეზის დადგენა, სრულყოფილი გამოკვლევა და შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა. მიუხედავად არაერთი დაპირებისა, რომ გაუკეთდებოდა სილიკონის ახალი პროტეზები, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. სამედიცინო დასკვნის შესაბამისად უკვე წელიწადნახევარია ესაჭიროება პროთეზი. დღეის მდგომარეობით პატიმარს კიდურები აქვს გაშავებული, გაურკვეველი ვადით ხდება მისთვის შესაბამისი პროთეზის მიწოდების დაყოვნება.

- **მსჯავრდებულ ლ.შ.-ს საქმე**

N 8 დაწესებულებაში სასჯელს იხდის მსჯავრდებული ლ. შ., რომელსაც უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება, აქვს დადგენილი პოლინეიროპათია, ლუმბალგია, პარალიზური იშიაზი, მარცხენა ქვედა კიდურის კუნთის განლევა. პატიმარს არ შეუძლია საკუთარი თავის მოვლა და აუცილებელი ჰიგიენის დაცვა. არაერთგზის მოთხოვნისა და ფიზიკური საჭიროების მიუხედავად, მსჯავრდებულს არ მიეწოდება გადასაადგილებელი ეტლი და ასევე, არ

---

<sup>70</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18827&lang=geo>



გადაყავთ N18 სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც გაეწევა შესაბამისი სერვისი.<sup>71</sup>

### 13. ადამიანის უფლებათა ცენტრის საკონსტიტუციო სარჩელი პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო რეფერალთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, მსჯავრდებულმა ნ.დ.-მ საკონსტიტუციო სასამართლოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის #55 ბრძანების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით მიმართა.

საკონსტიტუციო სარჩელში სადავოდ არის მიჩნეული სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანება, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ სამართლებრივ აქტს, რის საფუძველზეც ხორციელდება მსჯავრდებული/ბრალდებული პაციენტების გეგმიური სამედიცინო მომსახურება.

სადავო ბრძანების თანახმად, პაციენტი სამკურნალო დაწესებულებაში/ცენტრში გეგმიური წესით გადაყავთ სამედიცინო პროგრამაში მინიჭებული რიგითი ნომრის მიხედვით. საყურადღებოა, რომ ქალ მსჯავრდებულთათვის მოქმედებს რეფერალთა ერთიანი ელექტრონული რიგი, რაც ნიშნავს, რომ ქალი და მამაკაცი მსჯავრდებულები ერთიან ელექტრონულ რიგში არიან რეგისტრირებულნი. გასაჩივრებული ბრძანება შეუსაბამოა ბანგკოკის წესებით გათვალისწინებულ გენდერთან დაკავშირებული სპეციფიკური ჯანდაცვის პრინციპებთან და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (თანასწორობა) და მე-17 მუხლებს (არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) ეწინააღმდეგება.<sup>72</sup>

---

<sup>71</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18827&lang=geo>

<sup>72</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19036&lang=geo>; <http://www.hridc.tv/index.php?lang=geo>

## 14. რელიგიურ უმცირესობათა უფლებები

- იეჰოვას მოწმეთა დევნისა და ქონების განადგურების ფაქტები

2016 წელს, ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რელიგიური შეუწყნარებლობითა და სიძულვილით მოტივირებულ სამართალდარღვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება წარმოადგენდა. რელიგიური დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის მსხვერპლები ძირითადად იეჰოვას მოწმეები და მუსლიმი თემის წარმომადგენლები იყვნენ. იეჰოვას მოწმეების მიმართ რელიგიური ძალადობის ფაქტები მათ ცემაში, დევნასა და ქონების განადგურებაში გამოიხატებოდა. ხშირი სახე ჰქონდა იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის ქვების სროლით ფანჯრის ჩამსხვრევის შემთხვევებს, ასევე იეჰოვას ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების ფილიალის ბალანსზე არსებული ავტომანქანების გაკაწვრის ფაქტებს, ასევე მოქალაქეების მიერ სტენდების დამტვრევის ფაქტს რელიგიური მსახურების პროცესში, აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ ქმედება მიზანმიმართულად ხდება, რათა შეურაცხყოფილ იქნეს იეჰოვას მიმდევრების რელიგიური გრძნობები, ასევე იკვეთება შემთხვევები, როცა ხდება რელიგიური მსახურების ხელისშემლა და ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა. პრობლემას წარმოადგენდა რელიგიური სიძულვილით განპირობებული დანაშაულების გამოძიების მიმართ საგამოძიებო ორგანოებისა და პოლიციის სუბიექტური მიდგომა (მაგალითად, გ.ტ-ს საქმე, ე.ქ-ს საქმე; ჯ.ჩ საქმე, ლ.ზ საქმე).

ამ კუთხით გაზგაგასმელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის (ნივთის დაზიანება ან განადგურება) პრაქტიკაში გამოყენების საკითხი.

აღნიშნული მუხლი გამოიყენება იეჰოვას მოწმეთა ქონების განადგურების შემთხვევებში. 187-ე მუხლი განთავსებულია სისხლის სამართლის კოდექსის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში, სადაც მნიშვნელოვან ზიანად მიიჩნევა ნივთის ღირებულება 150 ლარს ზევით<sup>73</sup>. სისხლის სამართლის წესით დასჯადია ნივთის ისეთი დაზიანება, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. იქმნება მდგომარეობა, როცა რელიგიური უმცირესობათა წინააღმდეგ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევაში, არ იწყება ან წყდება სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რადგან მიყენებული ზიანი, ხშირ შემთხვევაში, არ აღემატება 150 ლარს.

2016 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში იყო იეჰოვას მოწმეთა მიმართ რელიგიური სიძულვილით მოტივირებული

<sup>73</sup> იხ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

დანაშაულის 20-მდე შემთხვევა, რაც გამოიხატებოდა იეჰოვას მოწმეთა ცემაში, შევიწროებასა და ქონების დაზიანება ან განადგურებაში. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატთა არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, შსს და პროკურატურა გამოძიებას არ იწყებდა სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო). ძირითადად, გამოძიება იწყებოდა ზოგადი მუხლებით, როგორცაა, ცემა (125-ე მუხლი), ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება (120-ე მუხლი) და სხვა (მაგალითად, გ.ტ-ს საქმე, ე.ქ-ს საქმე; ჯ.ჩ საქმე, ლ.ზ საქმე).

- **მუსლიმი თემის უფლებების დარღვევა**

2016 წელს, დაფიქსირდა მუსლიმი თემის წარმომადგენლების უფლებების დარღვევის ფაქტები და მათი გამოძიების პრობლემა.

მუსლიმი თემი სახელმწიფოსგან აქტიურად ითხოვდა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფას და მშენებლობის პროცესის მხარდაჭერას. ბათუმში მოქმედი ორთა ჯამეს ისტორიული შენობის სივრცე არ არის საკმარისი და ვერ იტევს მლოცველებს. ამის გამო, ასეულებით მორწმუნეს პარასკევის ტრადიციული ლოცვის შესრულება ქუჩაში, არასათანადო პირობებში უწევს. მუსლიმი ქალების დიდ ნაწილს კი, საერთოდ არ აქვს საშუალება ილოცოს მეჩეთში.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა სახელმწიფოს მოუწოდეს განუხრელად დაიცვან რელიგიის თავისუფლების, სეკულარიზმისა და თანასწორობის პრინციპები, არ შეუქმნას მუსლიმ თემს გაუმართლებელი ბარიერები მეჩეთის მშენებლობის პროცესში და უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მიღების პროცედურის კანონიერ, დისკრიმინაციისგან თავისუფალ პირობებში წარმართვა<sup>74</sup>.

2016 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა პროექტი „რელიგიურ უმცირესობათა მემკვიდრეობის შენარჩუნება“, რომელიც მიზნად ისახავდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას საქართველოში. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატორების შედეგად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სოფელ ფლატესა და ადიგენში მდებარე ისტორიულ მეჩეთებს მიანიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი<sup>75</sup>.

---

<sup>74</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18698&lang=geo>

<sup>75</sup> იხ: ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18666&lang=geo>

- რელიგიური დაპირისპირება ადიგენში

მართლმადიდებელი სასულიერო პირების გავლენის ქვეშ მყოფი მოქალაქეები აცხადებდნენ, რომ მუსლიმებს სოფელ ადიგენში მეჩეთი არ უნდა ჰქონდეთ, ხოლო სოფლის ცენტრში არსებული ისტორიული მეჩეთი ეკლესიად უნდა გადაკეთდეს, რადგან თავის დროზე იგი დანგრეული ეკლესიების ქვებით არის აშენებული<sup>76</sup>.

2016 წელს, ადამიანის უფლებათა ცენტრი განცხადებით გამოეხმაურა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფელ ადიგენში რელიგიური დაპირისპირების ესკალაციას და მოითხოვა, ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოსაძიებლად<sup>77</sup>.

2016 წლის 29 თებერვალს, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ადიგენში მუსლიმებისათვის სასაფლაოსათვის ტერიტორიის გამოყოფის საკითხის გამო ერთმანეთს ადგილობრივი ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა დაუპირისპირდა. სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა ვითარების უკიდურესად დამაბვა. სოფელ ადიგენში მცხოვრებ მუსლიმ თემს არ გააჩნია სასაფლაო და მიცვალებულთა დაკრძალვა მეზობელი სოფლების მუსლიმთა სასაფლაოზე ან საკუთარი სახლების ეზოებში უწევთ. პრობლემის მოგვარების მიზნით, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტომ მუსლიმთათვის სასაფლაოს მოსაწყობად წარმოადგინა სოფელ ადიგენში შესაბამისი ტერიტორიის გამოყოფის რეკომენდაცია. თუმცა, ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა რეკომენდაციას არ დაეთანხმა, რასაც ჯერ სიტყვიერი, ხოლო მოგვიანებით, ფიზიკური დაპირისპირება მოყვა<sup>78</sup>.

სამწუხაროდ, ადიგენის რაიონში განსხვავებული რელიგიის ადამიანების შევიწროება და აღმსარებლობის ხელშეშლა გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს, რასაც არაერთხელ გამოეხმაურა საქართველოს სახალხო დამცველი. მისი შეფასებით „აღნიშნული დარღვევები თავის დროზე სათანადოდ არ იქნა გამოძიებული, დაუსჯელობამ კი ბიძგი მისცა ახალ ინციდენტს რელიგიურ ნიადაგზე, რომელიც საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებაში განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანების ერთობლივ თანაცხოვრებას“<sup>79</sup>.

---

<sup>76</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18676&lang=geo>

<sup>77</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18676&lang=geo>

<sup>78</sup> იხ: მიმართვა: <http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-adigenshi-momxdar-dapirispirebastan-dakavshirebit.page>

<sup>79</sup> იხ: მიმართვა: <http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-adigenshi-momxdar-dapirispirebastan-dakavshirebit.page>

- მოხეში მუსლიმებისათვის ლოცვის ხელშეშლა

2016 წლის ოქტომბრის თვეში, ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში სამართალდამცავებმა გადაკეტეს იმ შენობაში შესასვლელი, რომელშიც ადგილობრივი მუსლიმი თემის წარმომადგენლებმა ლოცვა დაიწყეს. აღნიშნული შენობა ადიგენის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება. აღნიშნულ ფაქტს საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ „რელიგიის თავისუფლების ერთ-ერთი გამოხატულება არის ღვთისმსახურების ადგილის არსებობა და ლოცვა სხვებთან ერთად, რის შესაძლებლობას მუსლიმი თემი ამჟამად მოკლებულია. ცალკეული ინდივიდებისთვის თუ რელიგიური გაერთიანებისთვის რელიგიის თავისუფლების რეალიზაციის ხელშეშლა იწვევს მათ უთანასწორო მდგომარეობას და შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, წარმოადგენდეს დისკრიმინაციას რელიგიის ნიშნით“<sup>80</sup>.

2016 წლის 1 დეკემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შექმნილმა „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე კლუბის სტატუსით რიცხულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელმა კომისიამ“ დაადგინა, რომ მეჩეთი, რომლის დაბრუნებას მუსლიმი თემი სახელმწიფოსგან უკვე წლებია ითხოვს, სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს და არ უნდა გადაეცეს არცერთ რელიგიურ გაერთიანებას<sup>81</sup>.

## 15. ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში

2016 წლის 1 იანვრიდან ადამიანის უფლებათა ცენტრმა დაიწყო პროექტი - „ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“. პროექტი მიზნად ისახავს, სტრატეგიული სამართალწარმოების გზით, მოწყვლადი ჯგუფების, ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობას საქართველოს რეგიონებში, კერძოდ - ქვემო ქართლსა და კახეთში. პროექტი

---

<sup>80</sup> იხ: მიმართვა: <http://ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-moxeshi-muslimebis-locvis-uflebas-exmianeba.page>

<sup>81</sup> იხ: ინფორმაცია: <http://tdi.ge/ge/news/389-tdi-moxes-komisiis-gadacqvetilebis-shesaxe>

დაფინანსდა აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში<sup>82</sup>.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი აწარმოებს მუსლიმი თემისათვის მეჩეთების მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებულ საქმეებს. ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს მუსლიმი თემის ინტერესებს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეითარაფჩიში არ არის მეჩეთი. უახლოესი მეჩეთი სოფლიდან 15 კმ-ში მდებარეობს. შესაბამისად, მუსლიმური დღესასწაულების დროს, მოსახლეობა (800 კაცი) ვერ ახერხებს მეჩეთში წასვლას. სოფლის მოსახლეობა ბოლო წლებია, უშედეგოდ ითხოვს მათ სოფელში მეჩეთის აშენების ნებართვას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან. მათ ესაჭიროებათ სახელმწიფოს მიერ მიწის სარგებლობაში, გრძელვადიანი უზურფრუქტით გადაცემა, რათა შეძლონ საკუთარი სახსრებით მეჩეთის აშენება. ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს ბეითარაფჩის მოსახლეობის სამართლებრივ ინტერესებს რელიგიების სააგენტოში, მუსლიმთა სამმართველოსა და სხვა უწყებებში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თივის მუსლიმური მოსახლეობის სამართლებრივ ინტერესებს. სოფელ თივში მაცხოვრებელ ქალებს არ აქვთ სასაფლაოზე მდებარე მეჩეთში ლოცვის შესაძლებლობა მუსლიმური ტრადიციის გამო. ლოცვამდე, ქალებს მამაკაცებისგან იზოლირებულად, განსახორციელებელი აქვთ რელიგიური რიტუალი ლოცვის დაწყებამდე. სასაფლაოს მეჩეთში ისინი ამას ვერ ახერხებენ, რადგან იგი ერთი ოთახისგან შედგება. შესაბამისად, სოფელ თივის ქალბატონები მოკლებულნი არიან მეჩეთში ლოცვის შესაძლებლობას, რითაც არსებითად ირღვევა მათი კონსტიტუციური უფლებები. სოფელ თივში მაცხოვრებელი ქალბატონები არიან დისკრიმინირებულ მდგომარეობაში მამაკაცებთან შედარებით, რადგან მათ წართმეული აქვთ მეჩეთში ლოცვის შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს თივის მოსახლეობის სამართლებრივ ინტერესებს რელიგიების სააგენტოში, მუსლიმთა სამმართველოსა და სხვა უწყებებში<sup>83</sup>.

---

<sup>82</sup> ინფორმაცია პროექტის შესახებ:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18638&lang=geo>

<sup>83</sup> იხ: ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18402&lang=geo>



2016 წლის 16 ნოემბერს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ოფიციალური მიღება გამართა. ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიებაზე გამოიფინა ფოტოკონკურსის „ჩვენი მრავალფეროვანი სამშობლოს“ გამარჯვებული ფოტოები. ფოტოების ავტორებს სახელმწიფო მინისტრმა და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ხელმძღვანელმა რამაზ აფციაურმა სიგელები და USAID-ისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფინანსური მხარდაჭერით 500 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები გადასცეს. ამავე ფოტოების გამოყენებით დაგეგმილია 2017 წლის სამაგიდო კალენდრების გამოცემა.

ფოტოკონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი თამარ ლუკავა, რომელმაც საკონკურსოდ წარადგინა ბოშა ბავშვის ფოტოსურათი<sup>84</sup>. ფოტო გადაღებულია ბოშათა თემში ვიზიტისას.

## 16. ლგბტ პირთა უფლებები

2016 წელსაც გამოწვევას წარმოადგენდა ლგბტ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტები, მათ მიმართ ჰომოფობიური დამოკიდებულება და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება.

საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა 2016 წლის 17 მაისს, დილის 10 საათზე, ლგბტ აქტივისტების დაკავების ფაქტს მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანზე“ და საპატრიარქოსთან. ლგბტ აქტივისტების განმარტებით, პოლიციის მიერ მათი დაკავება განხორციელდა უხეში ფორმებით, სიძულვილის ენის გამოყენებით ყოველგვარი განმარტების გარეშე. სახალხო დამცველის შეფასებით „დაუყოვნებლივ უნდა იქნას შესწავლილი დაკავებისას სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტებისა და ჰომოფობიური ენის გამოყენების, დაკავებულებისათვის უფლებების დაუყოვნებლივ განმარტების მოვალეობის დარღვევის საკითხი და მას უნდა მოყვეს მკაცრი რეაგირება. განხორციელებული რეაგირების შესახებ დროულად უნდა ეცნობოს საზოგადოებას“<sup>85</sup>.

---

<sup>84</sup> იხ: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19008&lang=geo>

<sup>85</sup> იხ: მიმართვა: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-lgbt-aqtivistebis-dakavebis-shesaxeb.page>

2016 წლის 14 ოქტომბერს, ორთაჭალაში ტრანსგენდერი ქალი სცემეს. მას ორმა პირმა სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა<sup>86</sup>. 2016 წლის 23 ნოემბერს, ტრანსგენდერი ქალი საავადმყოფოში გარდაიცვალა<sup>87</sup>. საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა პროკურატურას აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით ჩაატაროს ყოვლისმომცველი, სრული და ობიექტური გამოძიება, ასევე, საგამოძიებო პროცესი წარმართოს სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიმართულებით.<sup>88</sup> ტრანსგენდერ ქალთა ცენტრმა 14 ოქტომბრის მკვლელობასთან დაკავშირებით გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება მოითხოვა<sup>89</sup>. ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის ფაქტზე სასამართლო განხილვები მიმდინარეობს. ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებული დააკავეს<sup>90</sup>.

## 17. ქალთა მიმართ ძალადობა და ფემიციდი

2016 წელს კვლავ გამოწვევას წარმოადგენდა ქალთა მიმართ ძალადობა, ფემიციდი და მათი ეფექტური გამოძიება. საანგარიშო წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს წარმოებაში ჰქონდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის 30- მდე საქმე<sup>91</sup>. მითითებულ საქმეებში პრობლემას წარმოადგენდა პოლიციის გულგრილობა, საგამოძიებო ორგანოების არაეფექტური მუშაობა და შეუსაბამო სისხლის სამართლებრივი მუხლების

---

<sup>86</sup> იხ: ინფორმაცია: <http://liberali.ge/news/view/25323/tbilisshi-transgenderi-qali-stsemes-dazaralebuli-reanimatsiashia>

<sup>87</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=8y8cvjI7L6s>

<sup>88</sup> იხ: მიმართვა: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-transgenderi-qalis-mimart-dzaladobis-faqttan-dakavshirebit.page>

<sup>89</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=8y8cvjI7L6s>

<sup>90</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=pzdDbLqnFac>

<sup>91</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18833&lang=geo;>

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18887&lang=geo;>

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18832&lang=geo;>

<http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1206&lang=geo;>

<https://www.youtube.com/watch?v=oxAIDzP-PkA;>

<https://www.youtube.com/watch?v=oxAIDzP-PkA;>

<https://www.youtube.com/watch?v=hW3WMje-D3U;>

<http://liberali.ge/articles/view/23996/politsiis-gulgriloba-ojakhshi-dzaladobis-faqtebze--ras-hyvebian-iuristebi>

გამოყენება ოჯახში ძალადობის საქმეებზე. პოლიციის მხრიდან არ ხდება ძალადობის ფაქტის სათანადო შეფასება და ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების გატარება.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მუშაობს ქალთა უფლებებზე პროექტის „ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ფინანსური მხარდაჭერით, პროგრამის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატებმა არაერთხელ მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე სასაუბროდ. მათ ისაუბრეს იმ სირთულეებზე, რასაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვისას აწყდებიან. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატების შეფასებით, პრობლემის სიმწვავეს სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან არაეფექტური გამოძიება და ქალთა ძალადობის თემებზე საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა წარმოადგენს<sup>92</sup>. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში შემამფოთებელ მასშტაბებს აღწევს. ძალადობის ფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა ოჯახებში ხდება და ზოგჯერ უკიდურესი ფორმებით - ქალთა მკვლელობით ან დასახიჩრებით ვლინდება. მსგავსი ფაქტები წლიდან წლამდე იზრდება, რაც განპირობებულია ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცველთა არაეფექტური რეაგირებით, ლმობიერი და ხარვეზიანი კანონმდებლობით, თავშესაფრების სიმცირით და ა.შ. სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლებს დაცვის სათანადო გარანტიებს ვერ აძლევს<sup>93</sup>.

---

<sup>92</sup> იხ: გადაცემები: <http://www.radiotavisupleba.ge/a/28065692.html>;  
<http://www.radiotavisupleba.ge/a/genderuli-ambebi/27888715.htm>;  
<http://www.radiotavisupleba.ge/a/genderuli-ambebi/27640050.htm>;  
<http://www.radiotavisupleba.ge/a/genderuli-ambebi/27534419.htm>;  
<http://www.radiotavisupleba.ge/a/gender-stories-02-12-2016/28152660.html>;  
[https://www.youtube.com/watch?v=tYbnle6s2\\_E](https://www.youtube.com/watch?v=tYbnle6s2_E);  
<https://www.youtube.com/watch?v=zaH2mVGq2i0>

<sup>93</sup> იხ: შეფასებები: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18831&lang=geo>;  
<http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1203&lang=geo>

2016 წლის 17 ივნისს ჟენევაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 32-ე სესიაზე ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა საქართველოს თაობაზე ანგარიში წარმოადგინა. გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ისაუბრა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს მიღწევებსა და გამოწვევებზე. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქალთა მიმართ ძალადობის დეფინიციის განსაზღვრის და საკანონმდებლო სივრცის დახვეწის მნიშვნელობაზე. ამასთან, ისაუბრა ფემიციდის შემთხვევების შესწავლისა და მონიტორინგის მნიშვნელობაზე და დადებითად შეაფასა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგი<sup>94</sup>.

2016 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტში შუალედური ანგარიში<sup>95</sup> წარადგინა. ანგარიშში საუბარია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე მათ შორის, საკანონმდებლო რეგულაციებსა და ეროვნული სამოქმედო გეგმების ეფექტურ იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ პრობლემაზე, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივების განუხორციელებლობაზე. ასევე, იმ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის არაეფექტურ პრაქტიკაზე, რომელთაც ოჯახში ძალადობის აღკვეთა ევალებათ<sup>96</sup>.

- **ქალთა გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკა ყვარლის მუნიციპალიტეტში**

2016 წლის 12 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა განცხადება<sup>97</sup> რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტში ქალის გენიტალიების დასახიჩრებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს რეაგირების აუცილებლობას შეეხებოდა. სახალხო დამცველის შეფასებით, ქალის გენიტალიების დასახიჩრება უფლებადარღვევის უკიდურესი ფორმაა, რომელიც არღვევს

---

<sup>94</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.ombudsman.ge/ge/news/qalta-mimart-dzaladobis-dzaladobis-mizezebis-da-shedegebis-shesaxeb-gaeros-specialurma-momxsenebelma-saqartveloshi-vizitis-angarishi-waroadgina.page>

<sup>95</sup> იხ: ანგარიში: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4053.pdf>

<sup>96</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelma-gaeros-qalta-mimart-diskriminacii-yvela-formis-agmofxvris-shesaxeb-komitets-shualeduri-angarishi-warudgina.page>

<sup>97</sup> იხ: განცხადება: <http://ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-qalis-genitaliebis-dasaxichrebis-shemtxevebtan-dakavshirebit.page>

ქალის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და წამების აკრძალვის უფლებებს. ამგვარი პრაქტიკა ძირითადად ქალზე და მის სხეულზე კონტროლის მიზნით ხორციელდება. მით უფრო, სახლის პირობებში, გენიტალიებზე მანიპულაციის ჩატარებამ, შესაძლოა, მრავალი გართულება გამოიწვიოს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ რელიგიური ტრადიციით წამების გამართლება შეუთავსებელია ბავშვის უფლებების კონვენციასთან და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრევედენტული სამართლის თანახმად, ვერანაირი რელიგიური რიტუალი ვერ ამართლებს წამების აკრძალვის აბსოლუტურ პრინციპს<sup>98</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ქალთა გენიტალიების დასახიჩრების ფაქტების შესწავლის მიზნით, რეაგირებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას მიმართა. ასევე, მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, დროულად განახორციელონ ევროსაბჭოს 2011 წლის სტამბულის კონვენციის - „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ რატიფიცირება, სადაც ცალკე მუხლი ეთმობა „ქალის გენიტალების დასახიჩრებას“ (მუხლი 38),<sup>99</sup> შედეგად, მსგავსი ფაქტები სისხლის სამართლის წესით დასჯადი იქნება.

## • არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურების შემთხვევა

2016 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრს დახმარების თხოვნით მომართა მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 16 წლის გოგონას მშობლებმა. მათი ინფორმაციით, 8 ივლისს, არასრულწლოვანი ორსული გოგონა წინასწარი შეცნობით ძალადობით გააუპატიურა მეუღლის ნათესავმა 47 წლის მამაკაცმა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა რეაგირების მიზნით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარ პროკურატურას და მოითხოვა, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, არასრულწლოვან ორსულ გოგონაზე სექსუალური ძალადობის ფაქტის ეფექტური და დროული გამოძიების წარმოების მიზნით. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატმა ასევე, მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მოთხოვნით, უმოკლეს ვადაში მოემზადებინა ექსპერტიზის დასკვნა. ორგანიზაციის დაცვის ქვეშ მყოფი ორსული არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურების საქმეზე ჩატარებული კომპლექსური ექსპერტიზით

<sup>98</sup> იხ: განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19019&lang=geo>

<sup>99</sup> იხ: მიმართვა: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19019&lang=geo>

დადასტურდა, რომ დანაშაული დაზარალებულის ქმრის ნათესავმა ჩაიდინა.<sup>100</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, გოგონას არ აქვს დაზარალებულის სტატუსი და მოძალადისათვის ბრალი არ წარუდგენიათ.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურების საქმეზე არაერთი პრესკონფერენცია ჩაატარა და პროკურატურას მოძალადე პირის დასჯა მოსთხოვა.<sup>101</sup> პროკურატურა აცხადებს, რომ მითითებულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს. აღნიშნულ საქმეზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატის მიმართვის შედეგად, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრათ პოლიციელებს.

- **ქალზე ძალადობა თეთრიწყაროში**

2016 წლის 10 ივლისს, თეთრიწყაროში, ექვიანობის ნიადაგზე ქმარმა ცოლი სასტიკად სცემა და შემდეგ ყურები მოაჭრა. სტუმრად მყოფი მამაკაცი კი მოკლა<sup>102</sup>. დაზარალებულის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატი იცავს.<sup>103</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, მსხვერპლს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი და მოძალადეს ბრალი წარედგინა. საქმის განხილვა რუსთავის საქალაქო სასამართლოში ოჯახური დანაშაულისა და წამების მუხლით მიმდინარეობს.

- **ფემიციდის შემთხვევა**

2016 წლის ივლისის ბოლოს ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების თხოვნით ფონიჭალაში მცხოვრებმა 20 წლის მოკლული გოგონას კ.ი მშობლებმა მომართეს. 2016 წლის 12 ივლისს, კ.ი არასრულწლოვანი ძმის თანდასწრებით, მეუღლემ ყელი გამოჭრა. მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე, მოძალადე მივიდა სახლში მსხვერპლთან და მას და მის ბებიას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ასევე, ფიზიკური ანგარიშწორებით და მოკვლით დაემუქრა. აღნიშნულის შესახებ პოლიციას მსხვერპლმა და ბებინამ განუცხადა და სასწრაფო რეაგირება

---

<sup>100</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18887&lang=geo>

<sup>101</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1206&lang=geo;>  
<https://www.youtube.com/watch?v=oxAIDzP-PkA;>

<sup>102</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=hW3WMje-D3U>

<sup>103</sup> იხ: ინფორმაცია: <http://liberali.ge/articles/view/23996/politsiis-gulgriloba-ojakhshi-dzaladobis-faqtebze--ras-hyvebian-iuristebi>



მოსთხოვა. დროული და ეფექტური რეაგირების ნაცვლად, პოლიცია მხოლოდ მოძალადის გაფრთხილებით შემოიფარგლა. გაფრთხილებიდან რამდენიმე საათში, მოძალადემ 20 წლის მეუღლე ცივი იარაღით მოკლა<sup>104</sup>. მოძალადე მეუღლე მკვლელობიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა არაერთხელ მიმართა მთავარ პროკურატურას და შსს დაეწყოთ გამოძიება პოლიციელის გულგრილობის ფაქტზე, რამაც შედეგად 20 წლის გოგონას მკვლელობა გამოიწვია<sup>105</sup>. შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ საქმის შესწავლა არ დაიწყო. პროკურატურაში პოლიციელის სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

## 18. 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

2016 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა დაიწყო პროექტი - „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გამოძიება საქართველოში“. პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგმა<sup>106</sup> ცხადყო, რომ წინა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამ არჩევნებში დაფიქსირდა შედარებით ნაკლები დარღვევა, რამაც საარჩევნო გარემო მეტად სტაბილური გახადა. ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ სახელისუფლებო პარტიისათვის კონკურენციის გაწევის მეტი შესაძლებლობა, რამაც არჩევნები უფრო პლურალისტურად და გამჭვირვალედ წარმოაჩინა. ამის მიუხედავად, კვლავ დაფიქსირდა არაერთი დარღვევა. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ტენდენციის მიუხედავად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები მაინც ვერ შეფასდება როგორც სრულყოფილი. კვლავ აუცილებელია სისტემური ცვლილებების განხორციელება, მეტი სწრაფვა კანონმდებლობის სრულყოფისაკენ, მეტი მუშაობა, ჩართულობა და რიგი აქტივობების განხორციელება სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის მხრიდან,

---

<sup>104</sup> იხ: ინფორმაცია: <http://imedi.ge/index.php?pg=news&id=77532&l=1>

<sup>105</sup> იხ: ინფორმაცია: <http://hriddc.tv/index.php?a=view&id=1210&lang=geo>

<sup>106</sup> იხ: ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16315&lang=geo>

გარემოს გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები პირველი არჩევნებია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. შესაბამისად, არსებობდა გამოკვეთილი განსაკუთრებული მოლოდინები, ინტერესი მის მიმართ. არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარებას უდიდესი როლი ენიჭებოდა საქართველოს შემდგომი დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირდა დამკვირვებელთა და ჟურნალისტთა საქმიანობისათვის ხელშეშლის რამდენიმე ფაქტი<sup>107</sup>. რაც შეეხება, 2016 წლის 30 ოქტომბერს გამართულ მეორე ტურში დაფიქსირებულ დარღვევებს, არსებითად იმავე ხასიათის პრობლემები გამოიკვეთა, რაც პირველი ტურის მიმდინარეობისას. მათ შორის, დაირღვა კანონმდებლობის ზოგიერთი პროცედურული ხასიათის მოთხოვნა; შეინიშნებოდა უზნების მიმდებარე ტერიტორიებზე აგიტატორთა აქტიურობა, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენდნენ ამომრჩეველთა ნების გამოხატვის თავისუფლებაზე; პირველი ტურის მსგავსად, განსაკუთრებული აქტუალობით ხასიათდებოდა კომისიის წევრთა არაკვალიფიციურობა, პროცედურული ხასიათის საკითხების, კანონმდებლობის მოთხოვნების არცოდნა; რიგ შემთხვევაში საარჩევნო უბანზე ფიქსირდებოდა საარჩევნო სუბიექტის ერთზე მეტი წარმომადგენლის ყოფნა<sup>108</sup>.

ეუთო/ოდირის დამკვირვებელთა შეფასებით, „8 ოქტომბრის არჩევნები კონკურენტულ და კარგად ადმინისტრირებულ გარემოში გაიმართა, სადაც ძირითადი თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო. თუმცა კამპანიის მშვიდ და ღია ატმოსფეროზე ზეგავლენა მოახდინა ბრალდებებმა უკანონო აგიტაციის შესახებ და ძალადობის რამდენიმე შემთხვევამ. საარჩევნო ადმინისტრაციის და ამომრჩეველთა სიების მენეჯმენტის მიმართ ნდობა არსებობდა. მედია პლურალისტულია, მაგრამ მონიტორინგში მონაწილე ზოგიერთი მაუწყებლის კამპანიის გაშუქება ნაკლებად დაბალანსებული იყო. დებატებმა საარჩევნო სუბიექტებს თავიანთი შეხედულებების წარმოსაჩენად ხელსაყრელი პლატფორმა შესთავაზა. კენჭისყრა მოწესრიგებულად გაიმართა, მაგრამ ხმების

---

<sup>107</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18938&lang=geo;adamianis-uflebebsthis-damkvirvelze-gankhorcielebuli-thavdashkmis-gamodziebas-ithkhoven.html?ar=A>; <http://web1.rustavi2.com/ka/news/59582>;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18935&lang=geo>

<sup>108</sup> იხ: ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში:  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16315&lang=geo>

დათვლა უფრო უარყოფითად შეფასდა, პროცედურული პრობლემების და მომატებული დაძაბულობების გამო<sup>109</sup>.

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, საქართველოს სახალხო დამცველმა პირველად მონიტორინგი გაუწია არჩევნებს. სახალხო დამცველის შეფასებით „კენჭისყრის პროცედურების დარღვევათა დიდი ნაწილი განპირობებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არასაკმარისი მომზადებით“<sup>110</sup>.

## • დამკვირვებელთა ხელშემშლის ფაქტები

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი გიორგი ტყეშელაშვილი 2016 წლის 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრას მარნეულის #35 საარჩევნო ოლქში, ქემალის #37 საარჩევნო უბანზე აკვირდებოდა, სადაც მას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ფაიაზ ველიძემ და თავმჯდომარის მოადგილემ საამედ გაჯიევა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

ინციდენტი გადაიღო საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებელმა, სადაც ჩანს, თუ როგორ უყვირის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საამედ გაჯიევი ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს და უხეშად ხელითაც ეხება.

ქემალის #37-ე საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რის შემდეგაც მოწმეები გამოიკითხნენ ალგეთის პოლიციის დეპარტამენტში. პოლიციის განყოფილებაში განაცხადეს, რომ საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 1621- მუხლის საფუძველზე („კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა“).

გიორგი ტყეშელაშვილს სხეულზე არსებულ დაზიანებებზე მეორე დღეს ჩატარდა ექსპერტიზა. თუმცა, დამკვირვებელს დღემდე არა აქვს დაზარალებულის სტატუსი და კვლავ არ არიან პასუხისგებაში მიცემული დამნაშავე პირები<sup>111</sup>.

2016 წლის 8 ოქტომბერს, დაუდგენელმა პირებმა დაარბიეს ზუგდიდის #79 საარჩევნო უბანი, რა დროსაც ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა

---

<sup>109</sup> იხ: შეფასება: <http://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/273231?download=true>

<sup>110</sup> იხ: შეფასება: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-kenchisyris-dgis-mimdinareobas-adjamebs.page>

<sup>111</sup> იხ: ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18968&lang=geo>

მიაყენეს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის - ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის 3 წარმომადგენელს, რომლებიც ცდილობდნენ ტელეფონით გადაეღოთ ინციდენტი. ზუგდიდის #79-ე და #108-ე უბნებზე პოლიციამ ვერ განახორციელა სათანადო რეაგირება. დამატებითი საპოლიციო ძალები მხოლოდ მოგვიანებით იყვნენ მობილიზებული უბნებზე<sup>112</sup>.

## • კორცხელის ინციდენტი

ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საქართველოს სახალხო დამცველმა დაგმეს 2016 წლის 22 მაისს, წინასაარჩევნო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელის #53 საარჩევნო უბანთან მოქალაქეებზე, მათ შორის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტი. მათ მოუწოდეს სამართალდამცველ ორგანოებს დროულად გამოიძიონ ძალადობის ფაქტი და ადეკვატური პასუხისმგებლობა დააკისრონ სამართალდარღვევაში მონაწილე პირებს და ორგანიზატორებს<sup>113</sup>. ეუთო/ოდირის დამკვირვებელთა შეფასებით „საარჩევნო ატმოსფეროზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა პოლიტიკური დამაბულობა ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის, 2016 წლის მაისში რიგგარეშე ადგილობრივი არჩევნების დროს კორცხელში მომხდარი ძალადობრივი დაპირისპირების ჩათვლით“<sup>114</sup>.

## • პოლიტიკური პარტიები არჩევნების შემდეგ

2016 წლის მეორე ნახევარი ნაციონალურ მოძრაობაში შიდა დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შიდა დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა. პარტიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა განცხადებები ყრილობისა და პარტიულ დაპირისპირებაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის როლზე გააკეთეს<sup>115</sup>.

---

<sup>112</sup> იხ: ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18968&lang=geo>

<sup>113</sup> იხ: მიმართვები: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18769&lang=geo>;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18769&lang=geo>;  
<http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcveli-korcxelshi-momxdar-incidentze-adekvatur-reagirebas-itxovs1.page>;

<sup>114</sup> იხ: შეფასება: <http://www.osce.org/ka/odihr/elections/267501?download=true>

<sup>115</sup> იხ: განცხადება: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/409584?ar=A>

ენმ-ის პატიის წევრების მიერ საჯარო განცხადებების შედეგად გამოიკვეთა, რომ გუნდში პირობითად ორი ბანაკი არსებობს, მათ შორის ერთი გიგა ბოკერიას გუნდის მხარდამჭერია, მეორე კი ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის. პარტიის შიგნით ვითარება დაიძაბა მას შემდეგ, რაც საპარლამენტო არჩევნების არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე დაიწყო დისკუსია, ასევე, ისინი ვერ შეთანხმდნენ მიხეილ სააკაშვილის სტატუსზე პარტიაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის არჩევისას. უთანხმოების საკითხი გახდა პარტიის ყრილობის ჩატარების წესიც<sup>116</sup>.

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე 5 % საარჩევნო ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა ახალმა პოლიტიკურმა ძალამ - „სახელმწიფო ხალხისთვის“, რომლის ლიდერსაც ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე წარმოადგენდა. 2016 წლის 14 დეკემბერს გამართულ პარტიის ყრილობაზე პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ის პოლიტიკიდან მიდის და კვლავ ხელოვნების სფეროს უბრუნდება<sup>117</sup>. საარჩევნო ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხეს პროდასავლურმა პარტიებმა - საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“. 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, პოლიტიკიდან დროებით წავიდა თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია<sup>118</sup>, რესპუბლიკური პარტია დატოვა თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა და რამდენიმე ლიდერმა, რომლებიც არჩევნებამდე მთავრობის წევრები და პარლამენტის დეპუტატები იყვნენ.

## 19. კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებები

2016 წლის 3 მაისს არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოხატეს გალის რაიონში შექმნილი ვითარების გამო, რომელიც შეეხება ქართველი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ფუნდამენტური უფლების შელახვას. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებამდე გალის რაიონში არსებული 58 სკოლიდან 53-ში სასწავლო პროცესი ქართულად მიმდინარეობდა. კონფლიქტის შემდეგ აღდგენილი იქნა 31 სკოლა. ყველა მათგანში, ერთის გარდა, იყო ქართულენოვანი სწავლება<sup>119</sup>.

---

<sup>116</sup> იხ: განცხადება: <http://exclusivenews.ge/post/34366>

<sup>117</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=30867>

<sup>118</sup> იხ: განცხადება: <https://www.youtube.com/watch?v=dGuYhd6qKUc>

<sup>119</sup> იხ: მიმართვა: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18774&lang=geo>

საქართველოს სახელმწიფო საუბრობს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ე.წ. „საზღვრის“ უკანონო კვების ბრალდებით საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებებზე და მას გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვად აფასებს<sup>120</sup>.

- **გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმე**

2016 წლის 19 მაისს, აფხაზეთის გამყოფ ხაზზე გიგა ოთხოზორია ხურჩა-ნაბაკევის გამშვებ პუნქტზე პროდუქტის გადატანას ცდილობდა, რა დროსაც აფხაზ ე.წ. მესაზღვრესთან შელაპარაკება მოუვიდა. ე.წ. მესაზღვრემ გიგა ოთხოზორიას მისამართით რამდენჯერმე გაისროლა, რის შედეგადაც გიგა ოთხოზორია გარდაიცვალა<sup>121</sup>. ამასთან, მოგვიანებით გავრცელდა აღნიშნული ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერი<sup>122</sup>. ვიდეომასალაში ჩანს, როგორ გადმოდიან საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ე. წ. მესაზღვრეები და გ. ოთხოზორიას ჯერ ფიზიკურ შეურაცხყოფას, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანებებს აყენებენ. 2016 წლის 21 მაისს საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა განცხადება გ.ოთხოზორიას განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისა და გადაზიდვის ფაქტზე ე. წ. მესაზღვრის, რაშიდ კანჯიოღლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე<sup>123</sup>.

## 20. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის წევრმა ორგანიზაციებმა<sup>124</sup> შეშფოთება გამოხატეს 2016 წლის წლის 17 მაისს თბილისში განვითარებულ მოვლენებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტთა დაკავების გამო. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, 2016 წლის 17 მაისს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან

---

<sup>120</sup> იხ: განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18631&lang=geo>

<sup>121</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=Fzo5e4UgAGU>

<sup>122</sup> იხ: ვიდეო ჩანაწერი: [https://www.youtube.com/watch?v=XW\\_gwJ95d3c](https://www.youtube.com/watch?v=XW_gwJ95d3c)

<sup>123</sup> იხ: ინფორმაცია: <http://rustavi2.com/ka/news/47381>

<sup>124</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი, კავშირი საფარი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, მედიის ინსტიტუტი, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT), ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრი „კავკასია“.



ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მშვიდობიანად ჩატარება და საინიციატივო ჯგუფს ვერ მისცა, აქციის გამართვის შემთხვევაში, უსაფრთხოების გარანტიები.

ადამიანის უფლებათა სახლის წევრმა ორგანიზაციებმა მოუწოდეს შესაბამის უწყებებს და მოითხოვეს, დაიწყოს დროული და ობიექტური მოკვლევა მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით, გამოავლინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი სამართალდამცავი პირების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას და განახორციელოს ქმედითი ზომები სიძულვილით მოტივირებული ძალადობრივი ქმედებების აღსაკვეთად<sup>125</sup>.

2016 წლის 22 ივნისს, ბათუმის საკრებულოსთან გონიოს მაცხოვრებელთა საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები მითხოვდნენ საკუთრების უფლების აღდგენას მიწის ნაკვეთებზე, რაც გაუუქმდათ 2010 წელს. პოლიციამ საპროტესტო აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავა და აქცია დაშალა. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით „სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მოქმედებები გავიდა სამართლებრივი რეგულაციის სივრციდან. პოლიციამ დაარღვია აქციის მონაწილეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, გამოხატვის თავისუფლება. გონიოს მკვიდრი მოსახლეობის მშვიდობიანი აქციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაშლას არ გააჩნდა ლეგიტიმური საფუძვლები. აქციის მონაწილეებს არ დაურღვევიათ არცერთი მოქმედი ნორმატიული აქტი, არ გადაუკეტავთ გზა, არ შეფერხებულა ავტომობილების ან ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება, არ არსებულა რაიმე საფუძველი, რაც პოლიციას სამართლებრივი სიკეთის დაცვის საჭიროებას გაუჩენდა“<sup>126</sup>.

2016 წლის 15 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველმა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ დებატები გამართა. ღონიძიებაზე სტუმრად მყოფმა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მაინა კიამ აღნიშნა, რომ „ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება გააუქმებს ადმინისტრაციულ პატიმრობას შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების გამოყენების შემთხვევებში<sup>127</sup>“.

---

<sup>125</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18755&lang=geo>

<sup>126</sup> იხ: შეფასება: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-policiis-mier-2016-wlis-22-ivniss-batumshi-saprotesto-aqciis-dashlastan-dakavshirebit.page>

<sup>127</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.ombudsman.ge/ge/sadjaro-debatebi/sadjaro-debatebi-shekrebisa-da-gaertianebis-tavisufleba-migwevebi-da-gamowvevebi.page>

## 21. ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გამოძიება

2016 წლის 27 იანვარს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ (ICC) პროკურატურის ოფისს 2008 წელს საქართველოში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დაწყების ნებართვა დართო. წინასასამართლო პალატის 2016 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორის ოფისი 2008 წლის აგვისტოს ომში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ ომის დანაშაულებს გამოძიებს. გამოძიება 2008 წლის 1 ივლისიდან 2008 წლის 10 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს<sup>128</sup>.

2016 წლის 6-10 ივნისს, ჰააგაში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსა და სხვადასხვა ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების 21-ე სტრატეგიული შეხვედრა გაიმართა. ფორუმი არასამთავრობო სექტორსა და სასამართლოს შორის თანამშრომლობის მიმართულებებსა და სხვადასხვა ქვეყანაში გამოძიების მიმდინარეობას შეეხებოდა. შეხვედრებს პროკურორის ოფისის, რეგისტრატურისა და სასამართლოს სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფორუმზე ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა 2008 წლის აგვისტოს, საქართველო-რუსეთის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების აუცილებლობასა და მართლმსაჯულების აღსრულების მნიშვნელობაზე ისაუბრა<sup>129</sup>.

2016 წლის 15-19 ნოემბერს, ჰააგაში რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოების ასამბლეას საქართველოდან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, „კონსტიტუციის 42-ე მუხლისა და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურის ოფისთან, პროკურორთან, რეგისტრატურასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვედრებზე აქცენტს აკეთებდნენ 2008 წლის აგვისტოს ომის ყოველმხრივი გამოძიების წარმოების, დაზარალებულთა ჩართულობისა და

---

<sup>128</sup> იხ: წინასასამართლო პალატის 2016 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება:

<https://www.icc-cpi.int/Pages/record.aspx?docNo=ICC-01/15-12-tKAT>

<sup>129</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18780&lang=geo>

ინფორმირების აუცილებლობაზე, ქართული არასამთავრობო სექტორის ჩართულობაზე გამოძიების პროცესში<sup>130</sup>.

2016 წლის 16 ნოემბერს, რუსეთმა განაცხადა, რომ იგი რომის სტატუტის რატიფიცირებას არ აპირებს და სტატუტზე ხელმოწერის უკან გამოთხოვის პროცედურა დაიწყო.

ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის შეფასებით, ხელმოწერის გამოთხოვის პროცედურის წამოწყებით რუსეთმა გამოხატა ღია წინააღმდეგობა, რაიმე ფორმით ითანამშრომლოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების ფარგლებში. 2016 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ძალიან მცირეა თეორიული შესაძლებლობა, რომ რუსეთის ფედერაცია რაიმე ფორმით ითანამშრომლებს სასამართლოსთან, რაც სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის 2008 წლის აგვისტოს ომში ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას. თუმცა, მიუხედავად რუსეთის მხარის მიერ შექმნილი დაბრკოლებებისა, სასამართლომ უნდა გააგრძელოს გამოძიება და ეძიოს გზები იმისათვის, რომ მოიპოვოს და გამოიკვლიოს შესაბამისი მტკიცებულებები და მოწმეები<sup>131</sup>.

2016 წლიდან ადამიანის უფლებათა ცენტრი ახორციელებს პროექტს - „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გამოძიება საქართველოში“. პროექტის ფარგლებში, ხორციელდება შეხვედრები 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან, ასევე - პირებთან, რომელთაც არ გააჩნიათ დაზარალებულის სტატუსი, ხორციელდება კომუნიკაცია საქართველოს მთავარ პროკურატურასთან და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან.

---

<sup>130</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19013&lang=geo>

<sup>131</sup> იხ: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/408518-adamianis-uflebatha-centri-da-norvegiis-helsinkis-komiteti-rusethis-mier-romis-statutze-khelmotseris-gamothkhovaze-ganckhadebas-avrceleben.html?ar=A>

## 22. გახმაურებული საქმეები

- **მაგდა პაპიძის საქმე**

ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2016 წლის 6 ივლისს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ახალგაზრდა ქალბატონის საქმეს ნაფიცი მსაჯულები იხილავდნენ, რომელთაც ქმრისა და შვილის განზრახ მკვლელობისათვის მაგდა პაპიძეს ერთხმად, 12 ხმით გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანეს<sup>132</sup>. მაგდა პაპიძის საქმის განხილვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსებითი ხელყოფით მიმდინარეობდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, მედიის მიერ აღნიშნული საქმის გაშუქება ხშირ შემთხვევაში სცდებოდა ეთიკური ჟურნალისტიკის ფარგლებს, რაც გამოიხატებოდა არა საზოგადოებრივი ინტერესის, არამედ საზოგადოების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაში. სხდომების მიმდინარეობისას სასამართლო პროცესი ნაწილობრივ ორჯერ დაიხურა იმ მიზნით, რომ დაკითხულიყვნენ მოწმეები, რომლებსაც უნდა ესაუბრათ ბრალდებულის პირადი და სქესობრივი ცხოვრების დეტალებზე. მიუხედავად სხდომის დახურვისა, როგორც ბრალდების მხარემ, ისე დაცვის მხარემ და ერთ შემთხვევაში - მოწმემ, მედიასთან საუბარში საჯაროდ გააჟღერეს გარკვეული დეტალები, რომლებიც დახურულ სხდომაზე იყო განხილული. აგრეთვე, ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე მაგდა პაპიძემ დააყენა შუამდგომლობა სხდომის ნაწილობრივ დახურვასთან დაკავშირებით, ვინაიდან მოწმის დაკითხვისას პროკურორმა დასვა რამდენიმე კითხვა ბრალდებულის პირადი ცხოვრების დეტალებთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლემ სწორად არ შეაფასა სხდომის დახურვის ლეგიტიმური მიზანი და ბრალდებულის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.<sup>133</sup>

მაგდა პაპიძე განმარტავდა, რომ რამდენიმე პოლიციელმა განყოფილებაში მიყვანის შემდეგ მას ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. იგი პენიტენციურ დაწესებულებაში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მოინახულეს, რომელთაც

---

<sup>132</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.imedi.ge/index.php?pg=news&id=72279&ct=17&tp=2&l=1>

<sup>133</sup> იხ: შეფასება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18795&lang=geo>

დაადასტურეს, რომ ქალბატონს სხეულზე დაზიანებები აღნიშნებოდა<sup>134</sup>. მაგდა პაპიძის განცხადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო.

- **დემურ სტურუას საქმე**

2016 წლის 8 აგვისტოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაფნარში 22 წლის დემურ სტურუამ, სავარაუდოდ, პოლიციის მხრიდან ზეწოლის გამო თავი ჩამოიხრჩო. წერილში, რომელიც თვითმკვლელობამდე დატოვა, წერია, რომ პოლიციელი გ.თ მას სთხოვდა, მიეწოდებოდა ინფორმაცია, თუ ვის ჰქონდა დათესილი მარიხუანა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში: დაფნარში, კულაშა და საჯავახოში. დემურ სტურუას მიერ დატოვებული წერილის თანახმად, 2016 წლის 7 აგვისტოს პოლიციელმა იგი სცემა და დაემუქრა<sup>135</sup>.

სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე საქართველოს პროკურატურამ ბრალდებულად ცნო პოლიციის უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი გ.თ. დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით) და 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მუხლით<sup>136</sup>. ბრალდებული პოლიციელი მიიმალა.

2016 წლის 29 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა მთავარ პროკურატურას, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება, რათა საქმეზე დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება. დამაჯერებელი პასუხი გაეცეს საქმესთან დაკავშირებით არსებულ ყველა კითხვას. მათ შორის, როგორ მოხდა, რომ პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებდა პირი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მიიმალა. რა გააკეთა პროკურატურამ საიმისოდ, რომ აღნიშნული პირი არ მიმალულიყო.

---

<sup>134</sup> იხ: ინფორმაცია: <http://rustavi2.com/ka/news/35127>

<sup>135</sup> იხ: ინფორმაცია: <http://netgazeti.ge/news/133967/>

<sup>136</sup> იხ: ინფორმაცია: [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=995](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=995)

მნიშვნელოვანია დადგინდეს, ვინ ეხმარებოდა ბრალდებულს მიმალვაში<sup>137</sup>. ასევე სახალხო დამცველმა მოუწოდა უფლებამოსილ ორგანოებს, უარი თქვას რეპრესიული ნარკოპოლიტიკის დამკვიდრებულ პრაქტიკაზე და გახადოს ნარკოპოლიტიკა უფრო ჰუმანური<sup>138</sup>.

2016 წლის 30 აგვისტოს, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დაუსწრებლად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე ბრალდებულ პოლიციელ გ.თ.-ს.

2016 წლის 31 აგვისტოს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა პროკურატურა გააკრიტიკეს დაგვიანებული რეაგირების გამო, რამაც აწ უკვე ბრალდებულ გ.თ.-ს მიმალვის საშუალება მისცა. დემურ სტურუას თვითმკვლელობის საქმის ფონზე კიდევ ერთხელ გააქტუალურდა სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ადეკვატურად გამოძიების თემა, რასაც არაერთხელ აყენებდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები<sup>139</sup>.

2016 წლის 13 სექტემბერს, დემურ სტურუას თვითმკვლელობამდე მიყვანაში ბრალდებული გ.თ. პოლიციას ჩაბარდა<sup>140</sup>.

- **„კაბელების საქმე“**

2016 წელს, ე.წ. „კაბელების საქმეზე“ განხილვები გაგრძელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. 2016 წლის 16 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დამნაშავედ სცნო თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები სახელმწიფოს კუთვნილი 4 102 000 ლარის გაფლანგვაში და სასჯელის სახედ და ზომად ბრალდებულებს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მათვე 2 წლის ვადით ჩამოერთვათ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების

---

<sup>137</sup> იხ: მიმართვა: <http://www.ombudsman.ge/ge/news/ds-s-tvitmkvlelobamde-miyvanis-saqmestan-dakavshirebit-saxalxo-damcveli-ntavr-prokuraturas-da-shs-saministros-mimartavs.page>

<sup>138</sup> იხ: მიმართვა: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-gancxadeba-qveyanashi-arsebul-narkopolitikastan-dakavshirebit.page>

<sup>139</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.radiotavisupleba.ge/a/demur-sturias-tvitmkvlelobis-saqme/27957796.html>

<sup>140</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/396755-demur-sturias-thvithmkvlelobamde-miyvanashi-braldebuli-goderdzi-thevzadze-policias-chabarda.html?ar=A>



უფლება<sup>141</sup>. „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ მოსამართლემ დამნაშავედ სცნო უდანაშაულო ადამიანები და ხელისუფლება სასამართლოზე ზეწოლაში დაადანაშაულა<sup>142</sup>.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, „კაბელების საქმეში“ წარდგენილ ბრალთან დაკავშირებული კითხვები, ასევე მსჯავრდებულების დაკავების წინაპირობები და საქმის განვითარების დროს არსებული კონტექსტი, საქმის განხილვის პერიოდში გამოვლენილ ცალკეულ ხარვეზებთან ერთად ერთობლიობაში ქმნის განცდას, რომ “კაბელების საქმეში” მართლმსაჯულება არასათანადოდ და მიკერძოებულად განხორციელდა, რაც შესაძლოა პოლიტიკური გავლენებით ყოფილიყო განპირობებული<sup>143</sup>. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განაცხადა, რომ „კაბელების“ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ უკანონო, უსამართლო და დაუსაბუთებელი განაჩენი გამოიტანა.<sup>144</sup>

2016 წლის 21 სექტემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში „კაბელების“ საქმის განხილვა დაიწყო.<sup>145</sup> საქმის განხილვა საქმეზე დღემდე გრძელდება.

2016 წლის 31 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში „კაბელების“ საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ამ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმის – გაფლანგვის კონსტიტუციურობაზე, კერძოდ, რამდენად აკმაყოფილებს იგი კანონისმიერების პრინციპს<sup>146</sup>.

---

<sup>141</sup> იხ: განცხადება: <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=841>

<sup>142</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.radiotavisupleba.ge/a/kabelebis-saqme/27738524.html>

<sup>143</sup> იხ: განცხადება: <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/380022-arasamthavroboebi-kabelebis-saqmeshi-marthlmsajuleba-arasathanadod-da-mikerdzoebulad-gankhorcielda.html?ar=A>

<sup>144</sup> იხ: შეფასება: <https://gyla.ge/ge/post/saia-ets-kabelebis-saqmeze-sasamartlom-ukanono-usamartlo-da-dausabutebeli-ganacheni-gamoitana>

<sup>145</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=rroUCwOjTVM>

<sup>146</sup> იხ: განცხადება: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saqartvelos-saxalxo-damcvelis-sasamartlos-megobris-mosazreba-ew-kabelebis-saqmeze.page>

- **ფოტორეპორტიორების საქმე**

2016 წლის 6 დეკემბერს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ „ფოტორეპორტიორების საქმეზე“ ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით განხორციელებული სამსახურებრივი მდგომარეობის გადამეტების ფაქტზე შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ქ. თბილისის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე დავით დევნოზაშვილი დააკავა. სასჯელაღსრულების დაწესებულების #8 საპრობილის ყოფილი დირექტორის ალექსანდრე მუხაძის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. საგანგებო ბრიფინგზე გაკეთებული განმარტებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯაშუშობისთვის გასამართლებული ფოტორეპორტიორები გიორგი აბდალაძე, ზურაბ ქურციკიძე, ირაკლი გედენიძე და ნათელა გედენიძე უდნაშაულო არიან და ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ დასაჯა 2011 წლის 26 მაისის მიტინგის დარბევის ამსახველი კადრების გადაღება-გავრცელებისთვის.<sup>147</sup> ფოტორეპორტიორების მიმართ დარღვეული უფლებების აღდგენა მხოლოდ 5 წლის შემდეგ დაიწყო.

„ფოტორეპორტიორების საქმეზე“ საიდუმლო გრიფის მოხსნას 5 წელიწადზე მეტი დასჭირდა, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, დაგვიანებულია. დარღვეული უფლების აღდგენის პროცესისა და ფოტორეპორტიორების სამართლებრივი რეაბილიტაციის დაწყება გაცილებით ადრე იყო შესაძლებელი<sup>148</sup>. ადამიანის უფლებათა ცენტრი წლებია უშედეგოდ ითხოვდა საიდუმლო გრიფის მოხსნას ფოტორეპორტიორების საქმეზე და მათ სამართლებრივ რეაბილიტაციას<sup>149</sup>.

2016 წლის 8 დეკემბერს „ფოტოგრაფების საქმეზე“ შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ქ. თბილისის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს დავით დევნოზაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა<sup>150</sup>.

---

<sup>147</sup> იხ: განცხადება: [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=1070](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1070)

<sup>148</sup> იხ: შეფასება: <http://www.radiotavisupleba.ge/a/interview-with-tamar-avaliani/28161031.html>

<sup>149</sup> იხ: მიმართვა: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18625&lang=geo;>  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=17876&lang=geo>

<sup>150</sup> იხ: განცხადება: <http://tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=909>

## 23. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმატებული საქმეები

### • თ.რ.-ს საქმე

2016 წლის 5 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ დაკმაყოფილდა ადამიანის უფლებათა ცენტრის შუამდგომლობა თ. რ.-ს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის საფუძველზე ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო სასჯელის აღსრულების გადავადების თაობაზე. თ.რ სასამართლო სხდომის დარბაზიდან განთავისუფლდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ცემა-წამებაში დაზარალებულად ცნობილ მსჯავრდებულის, თ.რ-ის საქმეზე სასამართლოს სარჩელით მიმართა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

2016 წლის 7 ოქტომბერს, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ აიღო ვალდებულება, კანონიერ ძალაში შესული განჩინების/გადაწყვეტილების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში გადაუხადოს მოსარჩელე თ. რ.-ს 20 000 ლარი მის მიმართ სასჯელადსრულების სისტემაში განცდილი მატერიალური და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ<sup>151</sup>.

### • ლ.ჭ.-ს საქმე

2016 წლის ნოემბრის თვეში, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული სასარჩელო მოთხოვნა და სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, წამებისა და არადამიანური მოპყრობის მსხვერპლის სასარგებლოდ, 60 000 ლარის გადახდა დააკისრა, მხოლოდ მორალური ზიანის კომპენსაციის სახით<sup>152</sup>. ლ. ჭ. პენიტენციურ დაწესებულებაში 2008 წელს სასტიკად აწამეს.

---

<sup>151</sup> იხ: ინფორმაცია <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18962&lang=geo;>  
<http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1182&lang=geo>

<sup>152</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19003&lang=geo>

- **აზერბაიჯანის მოქალაქეებისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება**

2016 წლის ივნისის თვეში, ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აზერბაიჯანის მოქალაქეებს, დაშინ და ორხან ალაღარლებს ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა. სასამართლოში მათ ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატი იცავდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა მოსარჩელების პოზიცია, რომ ალაღარლების აზერბაიჯანისთვის გადაცემის შემთხვევაში, საფრთხე დაემუქრებოდა მათ სიცოცხლეს და დაექვემდებარებოდნენ წამებას და პოლიტიკურ დევნას<sup>153</sup>.

- **იოსებ აბულადის საქმე**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 ივნისის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა აპელანტების - შსს-სა და საპატრულო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით, შსს-დან უკანონოდ გათავისუფლებული პატრულ-ინსპექტორი იოსებ აბულადის სარჩელი დაკმაყოფილდა. შსს-ს მისი სამსახურში აღდგენა და მის სასარგებლოდ განაცდურის ანაზღაურება დაეკისრა. თბილისის საქალაქო სასამართლოში სასამართლო პროცესი თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა.

2016 წლის აპრილში, შსს-მ და საპატრულო დეპარტამენტმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. საქმის განხილვის შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლომ მათი სააპელაციო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. თბილისის სააპელაციო სასამართლოში იოსებ აბულადის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი თამარ ავალიანი და საიას იურისტი მიხეილ ჯახუა იცავდა.<sup>154</sup>

---

<sup>153</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18791&lang=geo>

<sup>154</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18792&lang=geo>

- **დისკრიმინაცია სს „თელასში“**

ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ თელასის თანამშრომლების მიმართ დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა.

2016 წლის 22 ივლისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება, რითაც მოსარჩელების - დავით ნადირაშვილისა და კახა სიმონიძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

ერთი წლის წინ - 2015 წლის 22 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ უკანონოდ მიიჩნია დავით ნადირაშვილისა და კახა სიმონიძის სამსახურიდან გათავისუფლება და გააუქმა მათი გათავისუფლების ბრძანებები. სასამართლომ მოსარჩელები სამსახურში აღადგინა და სს „თელასს“ იძულებითი გაცდურის - 100 000 ლარამდე ანაზღაურება დააკისრა. ამასთან, სასამართლომ დაადგინა შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ფაქტი და მიიჩნია, რომ მოსარჩელები სს „თელასის“ ადმინისტრაციის მხრიდან მიზანმიმართული დევნისა და შევისწროების მსხვერპლნი გახდნენ<sup>155</sup>.

- **მსჯავრდებულის დავა შსს-ს წინააღმდეგ**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მსჯავრდებულ შ.პ.-ისათვის სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული პროგრამიდან მის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების ბარათის რეგისტრაციის ამსახველი დოკუმენტისა (გამოძიების დაწყების ზუსტი დრო, წელი, თვე და რიცხვი) და დანაშაულის შესახებ შეტყობინების რეგისტრაციის ზუსტი დროის (წელი, თვე და რიცხვი) ამსახველი დოკუმენტების გადაცემა დაევალა.

აღნიშნული დოკუმენტების მიღებით შ.პ.-ს საშუალება მიეცემა, მიმართოს სასამართლოს მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადახედვის მოთხოვნით. შსს-ს უარი მოთხოვნილი დოკუმენტის მიღებაზე არსებითად ხელყოფდა შ.პ.-სათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას. მითითებული დოკუმენტის გარეშე შ.პ. მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიემართა სასამართლოსათვის განაჩენის გადახედვის მოთხოვნით<sup>156</sup>.

---

<sup>155</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18829&lang=geo>

<sup>156</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18865&lang=geo>

## 24. ადამიანის უფლებათა ცენტრის საკანონმდებლო წინადადებები

2016 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საქართველოს პარლამენტს სამი საკანონმდებლო წინადადებით მიმართა.

2016 წლის 15 ივლისს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა პარლამენტს მსჯავრდებულებისათვის სასჯელის მოხდის პერიოდში საგადასახადო საურავის/ჯარიმის დარიცხვის შეჩერებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო წინადადებით მიმართა. ადამიანის უფლებათა ცენტრის საკანონმდებლო წინადადება გაზიარებულ იქნა ფრაქცია „ეროვნული ფორუმის“ მიერ, რომელმაც იგი საკანონმდებლო ინიციატივის ფორმით პარლამენტში დაარეგისტრირა.

კანონპროექტის ავტორები თვლიან, რომ მსჯავრდებულის მიმართ არსებულ საგადასახადო დავალიანებაზე საურავის/ჯარიმის დარიცხვის დინება უნდა შეჩერდეს სასჯელის მოხდის პერიოდში.

შეთავაზებული ცვლილების მიზანს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის, რესოციალიზაციის ხელშეწყობა და პატიმრის უფლებების დაცვა წარმოადგენს. საგადასახადო კოდექსში აღნიშნული ცვლილების შეტანით, სახელმწიფო აღარ უბიძგებს მსჯავრდებულს ახალი დანაშაულის ჩადენისკენ და რეაბილიტაციის სრულ შესაძლებლობას მიცემს<sup>157</sup>.

2016 წლის 4 მარტს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს და პოლიტპატიმრის სტატუსის ახლადგამოვლენილ გარემოებად მიიჩნევა მოითხოვა. საკანონმდებლო წინადადებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოუწოდა პარლამენტს, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომლის შედეგად პოლიტპატიმრის სტატუსი მიჩნეული იქნება ახლადგამოვლენილ გარემოებად. ამ გზით, ყოფილი პოლიტპატიმრები შეძლებენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადასინჯვით მიმართონ სასამართლოს<sup>158</sup>. საქართველოს პარლამენტმა ადამიანის უფლებათა ცენტრის საკანონმდებლო წინადადება ნაწილობრივ გაითვალისწინა და განაჩენის გადასინჯვის დამატებით საფუძვლად პოლიტპატიმრის სტატუსი განსაზღვრა<sup>159</sup>.

---

<sup>157</sup> იხ: ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18837&lang=geo>

<sup>158</sup> იხ: ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18656&lang=geo>

<sup>159</sup> იხ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი: 332<sup>1</sup>



2016 წლის 9 ივლისს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა პარლამენტს და 2012 წლამდე სსკ-ის 262-ე მუხლით მსჯავრდებულ ქალთა ამნისტირება მოითხოვა, არაადაკვატურად მაღალი სასჯელების გამო.<sup>160</sup>

## 25. შშმ პირები

2016 წლის 13 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის თავი წარუდგინა<sup>161</sup>.

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზების მიმართულებით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები მისაწვდომობის, დამოუკიდებელი ცხოვრების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და დასაქმების შეზღუდულ შესაძლებლობებს უკავშირდებოდა<sup>162</sup>. შშმ პირთა თავისუფალი განვითარების უფლების ხელყოფაზე და მათთვის არაადაპტირებულ გარემოზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციები<sup>163</sup>.

2016 წლის 22 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველმა შშმ პირთა შრომითი უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე განცხადება გააკეთა. მისი შეფასებით, მიუხედავად სახელმწიფოს დეკლარირებული ნებისა – უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება და რიგი პროექტების არსებობისა, სათანადო სამართლებრივი გარანტიების, პრაქტიკული ხელშეწყობისა და აღსრულების ეფექტური მექანიზმების ნაკლებობის გამო ამ პირთა შრომის უფლების რეალიზება სათანადოდ ვერ ხერხდება<sup>164</sup>.

---

<sup>160</sup> ი; ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18364&lang=geo>

<sup>161</sup> იხ; ინფორმაცია: <http://ombudsman.ge/ge/news/shezguduli-shesadzleblobis-mqone-pirta-uflebrivi-mdgomareoba.page>

<sup>162</sup> იხ; ანგარიში: <http://ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/shezguduli-shesadzleblobis-mqone-pirta-uflebrivi-mdgomareoba1.page>

<sup>163</sup> იხ; ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18826&lang=geo>

<sup>164</sup> იხ; შეფასება: <http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-shezguduli-shesadzleblobis-mqone-pirta-dasaqmebis-mdgomareobas-sagangashod-afasebs.page>

2016 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს წარმოებაში ჰქონდა დაახლოებით 20 შშმ პირის საქმე, რომელთა ძირითადი ნაწილიც სოციალური დაცვის საკითხებს, არაადაპტირებულ გარემოს და ძალადობის ფაქტებს ეხებოდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნის რ.ი. სამართლებრივ ინტერესებს. რ.ი აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, რასაც თან ერთვის თანაკლასელთა მხრიდან სისტემური ფიზიკური და ვერბალური ძალადობა, რის წახალისებასაც ხელს უწყობს დამრიგებლის, დირექტორისა და სხვა პასუხისმგებელ პირთა უმოქმედობა.<sup>165</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის საფუძველზე, არასრულწლოვნის საქმის განხილვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარეობს.

## 26. მედიის თავისუფლება

- **„რუსთავი 2“-ის საქმე**

2016 წელს, „რუსთავი 2-ის“ საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოში სამი მოსამართლის მონაწილეობით გაგრძელდა. სასამართლო სხდომები „რუსთავი 2-ის“ საქმეზე დაპირისპირების ფონზე იმართებოდა. სასამართლო დარბაზში ადგილი ჰქონდა მოსამართლეებსა და „რუსთავი 2-ის“ წარმომადგენლებს შორის სიტყვიერ დაპირისპირებას, ტელეკომპანიის ადვოკატთა დაჯარიმებას და დარბაზიდან გაძევებას<sup>166</sup>.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობისას, „რუსთავი 2-ის“ ადვოკატებმა მოსამართლეთა აცილება მოითხოვეს იმ საფუძველზე, რომ ისინი ხელისუფლების კონტროლსა და ზეწოლას ექვემდებარებოდნენ<sup>167</sup>.

---

<sup>165</sup> იხ: ინფორმაცია: <http://rustavi2.com/ka/news/61703>

<sup>166</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=fTWIyruvyew>;  
<https://www.youtube.com/watch?v=I20BbAvunYs>

<sup>167</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=TK8OqLnuizo>

2016 წლის 31 მაისს, „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორი მოსამართლეებმა სასამართლოს უპატივცემულობის გამო დარბაზიდან გააძევეს და დანარჩენ სასამართლო სხდომებზე დასწრება აუკრძალეს<sup>168</sup>.

2016 წლის 1 ივნისს, „რუსთავი 2-ის“ დირექტორმა სამი მოსამართლიდან ერთ-ერთი ნათია გუჯაბიძე თაღლითობაში დაადანაშაულა და მისი აცილება მოითხოვა. „რუსთავი 2-ის“ ადვოკატების შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა<sup>169</sup>.

2016 წლის 3 ივნისს, მოსამართლე ნათია გუჯაბიძემ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული ცრუ ბრალდებები ვერ იმოქმედებს მის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე<sup>170</sup>.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, „რუსთავი 2-ის“ სასამართლო პროცესები პოლიტიზირების ფონზე მიმდინარეობდა. ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ სურდა „რუსთავი 2-ის“ სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა<sup>171</sup>.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით, „რუსთავი 2-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა<sup>172</sup>. 2016 წლის 22 ივნისს, 12 დღეში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ტელეკომპანია „რუსთავი 2-თან“ დაკავშირებული გადაწყვეტილება მხარეებს ჩასაბარებლად გაუგზავნა<sup>173</sup>.

„რუსთავი 2-ის“ დირექტორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადრეულ ეტაპზე ჩაბარებულად მიჩნევა აზიანებს მათ იმ ინტერესს, რომელიც სამოქალაქო დავის საბოლოო გადაწყვეტამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მათსავე საკონსტიტუციო სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანას უკავშირდება<sup>174</sup>.

საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა უმოკლეს ვადაში, 2016 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების გაგზავნის ფაქტი და გამოთქვა

---

<sup>168</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=HAd18FPUGN0>

<sup>169</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=GpLMm3tsX7E>;  
<https://www.youtube.com/watch?v=Qj1B3g55qUY>;  
<https://www.youtube.com/watch?v=I20BbAvunYs>

<sup>170</sup> იხ: ინფორმაცია: <https://www.youtube.com/watch?v=I20BbAvunYs>

<sup>171</sup> იხ: შეფასებები: <http://rustavi2.com/ka/news/48181>

<sup>172</sup> იხ: ინფორმაცია: <http://netgazeti.ge/news/122398/>

<sup>173</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.tbappeal.court.ge/?news=517&mc>

<sup>174</sup> იხ: ინფორმაცია: <http://2030.news/?newsid=8919>

იმედი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო შესაბამისი საკასაციო საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელებს კანონის ნორმებით და შესაბამის შეფასებას მისცემს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ ქმედებას<sup>175</sup>.

2016 წლის 9 სექტემბერს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად სცნო „რუსთავი 2-ის“ საკასაციო საჩივარი.<sup>176</sup>

2016 წლის 22 ნოემბერს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, „რუსთავი 2-ის“ საქმე განსახილველად უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას გადაეცა.<sup>177</sup>

### • „მაესტროს“ საქმე

2016 წლის განმავლობაში, ტელეკომპანია „მაესტროში“ მოვლენები მეწილეებს შორის დაპირისპირებით ვითარდებოდა, შემდეგში კი თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაინაცვლა.

არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით, მიუხედავად ტელეკომპანიის ირგვლივ მიმდინარე დავების და სასამართლო საქმეების კერძო ხასიათისა, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე რეიტინგით ქვეყნის მესამე ტელეარხის მფლობელობაში მომხდარი მოულოდნელი ცვლილები ბადებს საფუძვლიან ეჭვებს პროცესის შესაძლო პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით. არასამთავრობოებს უმყარდებათ ეჭვი წინასაარჩევნო პერიოდში მედიაზე კონტროლის დამყარების მცდელობაზე. ისინი პროცესში ჩართულ ყველა მხარეს მოუწოდებდნენ დიალოგისკენ და მაქსიმალური გამჭვირვალობისკენ<sup>178</sup>.

ჟურნალისტ გიორგი გასვიანის ცემის ფაქტი

2016 წლის 19 დეკემბერს, ტელეკომპანია „იბერიის“ ჟურნალისტმა გიორგი გასვიანმა განაცხადა, რომ 18 დეკემბერს, ღამით, ბორჯომში, ერთმა პოლიციელმა და ამავე სამართალდამცველის ორმა მეგობარმა სასტიკად

---

<sup>175</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.ombudsman.ge/ge/news/sqartvelos-saxalxo-damcveli-exmaureba-rustavi-2tan-dakavshirebul-saqmes.page>

<sup>176</sup> იხ: ინფორმაცია: <http://rustavi2.com/ka/news/56212>

<sup>177</sup> იხ: ინფორმაცია: <http://rustavi2.com/ka/news/61861>

<sup>178</sup> იხ: ინფორმაცია: <http://www.timer.ge/arasamthavrobo-organizaciebi-telekompania-maestrosi-mimdinare-movlenebs-ekhmaurebian/> ; <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=63329>

სცემეს. ჟურნალისტის განმარტებით, დაპირისპირება ბორჯომში მოყინული გზისა და ავტომობილის გაუმართაობის გამო მისი მანქანის მოსრიალებას მოჰყვა. გიორგი გასვიანის ინფორმაციით, პოლიციელი და მისი მეგობრები უყვიროდნენ, რომ ავარიით მათი მოკვლა უნდოდა და არ აძლევდნენ ახსნა-განმარტების საშუალებას, რატომ მოსრიალდა ავტომობილი. ჟურნალისტი პოლიციელმა და მისმა მეგობრებმა გადმოიყვანეს მანქანიდან, სცემეს, ურტყავდნენ თავში, ყბისა და მხარის არეში.<sup>179</sup>

2016 წლის 19 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში ჟურნალისტ გიორგი გასვიანის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.<sup>180</sup>

2016 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას, ჩაატაროს ყოვლისმომცველი, სრული და ობიექტური გამოძიება და ძალადობის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, უმკაცრესად დაისაჯოს ყველა ის პირი, რომელიც სამართალდამცველის სახელს ამოფარებული ახორციელებს ძალადობას, ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას, აყენებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.<sup>181</sup> მითითებულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

- **საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის არჩევნები**

2016 წლის 21 ნოემბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან გადადგა<sup>182</sup>.

2016 წლის 28 ნოემბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ გენერალური დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი გამოაცხადა.<sup>183</sup> კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება 2016 წლის 28 დეკემბერს დასრულდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის

---

<sup>179</sup> იხ: ინფორმაცია: <http://netgazeti.ge/news/162787/>

<sup>180</sup> იხ: ინფორმაცია: [http://pog.gov.ge/geo/news?info\\_id=1083](http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1083)

<sup>181</sup> იხ: განცხადება: <http://ombudsman.ge/ge/news/gancxadeba-jurnalist-giorgi-gasvianis-savaraudo-cemis-faqtze.page>

<sup>182</sup> იხ: ინფორმაცია: <http://1tv.ge/ge/news/view/141989.html>

<sup>183</sup> იხ: ინფორმაცია: <http://gpb.ge/ge/news/view/142647>

ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილეობა 14-მა კანდიდატმა მიიღო<sup>184</sup>. საბოლოოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ვასილ მაღლაფერიძე დაამტკიცა.

- **იმედი „მაესტროსა“ და „GDS-ს“ გაერთიანება**

2016 წლის 27 დეკემბერს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელეკომპანია „იმედი“ „მაესტროსა“ და „GDS-ს“ ყიდულობს. სავარაუდოდ, შეიქმნება ერთიანი მედიაჰოლდინგი, რასაც თითოეულ არხზე რეორგანიზაცია მოჰყვება<sup>185</sup>. „იმედის“, „მაესტროსა“ და GDS-ის ერთ ჰოლდინგად გაერთიანების შემთხვევაში, სამიდან ორ არხზე სავარაუდოდ, საინფორმაციო მაუწყებლობა შეწყდება<sup>186</sup>. 2016 წლის 27 დეკემბერს, ტელეკომპანია „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელის გია გაჩეჩილაძის განცხადებით, ფაქტობრივად, მიღწეულია შეთანხმება მედიაჰოლდინგის შექმნაზე, რომელშიც ტელეკომპანიები: „იმედი“, „მაესტრო“ და GDS გაერთიანდებიან<sup>187</sup>.

## 27. საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ

2016 წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ეხმარებოდა სხვადასხვა სფეროში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს და საგამოძიებო უწყებებს მათი დროული და მიუკერძოებელი გამოძიებისკენ მოუწოდებდა. სახალხო დამცველმა რამდენიმე თემატური ანგარიში გამოაქვეყნა და სახვადასხვა დროს მოახდინა რეაგირება აქტუალურ პრობლემებზე<sup>188</sup>. სახალხო დამცველი აფასებდა სასამართლო რეფორმის საკითხებს, ინსტიტუციურ რეფორმებს, პენიტენციურ სისტემას, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პოლიტიკას, ბავშვთა

---

<sup>184</sup> იხ: განცხადება: <http://gpb.ge/ge/news/view/146225>

<sup>185</sup> იხ: ინფორმაცია: <http://liberali.ge/news/view/26738/imedi-telekompania-maestros-da-GDSs-yidulobs>

<sup>186</sup> იხ: განცხადება: <http://rustavi2.com/ka/news/64355>

<sup>187</sup> იხ: განცხადება: <http://netgazeti.ge/news/164758/>

<sup>188</sup> იხ: ანგარიშები: <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi>



და ქალთა უფლებებს, შშმ პირთა ხელმისაწვდომობის საკითხებს, შრომით უფლებებს, ძალოვანი სტრუქტურების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს, გამოძიების არაეფექტურობას, რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებს, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს, მედიის თავისუფლებას და სხვა<sup>189</sup>.

## 28. საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში კვლავ კეთდება აქცენტები სამართალდამცავი ორგანოების მიერ უფლებამოსილების გადამეტებაზე, არჩევნებზე, სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე, ქალთა მიმართ ძალადობასა და უფლებადარღვევის სხვა ფაქტებზე.

*ეთო/ოდირის დამკვირვებლებმა* 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები კონკურენტულად და კარგად ადმინისტრირებულად შეაფასეს, თუმცა, აღნიშნეს ხარვეზების შესახებაც, რაც პროცედურულ პრობლემებსა და რიგ უზნებზე მომეტებულ დამაბულობაში გამოიხატებოდა<sup>190</sup>.

*გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის* შეფასებით, გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის სათანადო იმპლემენტაცია. კომიტეტის რეკომენდაციით, კანონმდებლობით კერძო სამართლის იურიდიული პირები და ინდივიდები ვალდებულნი უნდა გახდნენ მიაწოდონ საქართველოს სახალხო დამცველს დისკრიმინაციის დასადგენად გამოთხოვილი რელევანტური ინფორმაცია. ამასთანავე, კომიტეტი გამოთქვამს შეშფოთებას ეთნიკური და რელიგიური სიძულვილის ნიშნით მოტივირებულ დანაშაულებთან და ზოგადად საჯარო მოხელეების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით<sup>191</sup>.

*გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ქალთა ძალადობის საკითხებზე* შეფასებით, აუცილებელია საქართველომ დროულად განახორციელოს სტამბულის კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების პრევენციას და მასთან ბრძოლას ეხება. ასავე, საგამოძიებო

<sup>189</sup> იხ: ანგარიშები: <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/0/12>

<sup>190</sup> იხ: შეფასება: <http://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/273231?download=true>

<sup>191</sup> იხ: შეფასება: [http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CERD/Shared%20Documents/GEO/CERD\\_C\\_GEO\\_CO\\_6-8\\_23906\\_E.pdf](http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CERD/Shared%20Documents/GEO/CERD_C_GEO_CO_6-8_23906_E.pdf)

ორგანოებმა ეფექტურად გამოიძიონ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტები<sup>192</sup>.

*ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი* მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, გაატაროს შესაბამისი რეფორმები სასამართლოს სისტემის ღიაობისა და ხელმისაწვდომობის მიმართულებით, ასევე, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად<sup>193</sup>.

*Freedom House-ის* შეფასებით, განსაკუთრებით ყურადსაღებია ოპოზიციურ მედია საშუალებებზე ზეწოლა. ამ კუთხით, ორგანიზაციამ შემფოთება გამოხატა „რუსთავი 2“-ზე მმართველი ძალის მიერ განხორციელებულ ზეწოლასთან და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფასთან დაკავშირებით<sup>194</sup>.

---

<sup>192</sup> იხ: შეფასება: <http://www.ohchr.org/EN/Countries/ENACARegion/Pages/GEIndex.aspx>

<sup>193</sup> იხ: შეფასება:

<https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2903587&ecMode=1&DocId=2367686&Usage=2>

<sup>194</sup> იხ: შეფასება: <https://freedomhouse.org/report/nations-transit/2016/georgia>